

ქართული  
ფსიქოლოგიური  
ჟურნალი

GEORGIAN  
PSYCHOLOGICAL  
JOURNAL

2024 № 1

ქართული ფსიქოლოგიური  
ჟურნალი

2024, № 1

**Ivane Javakishvili Tbilisi State University**

**Faculty of Psychology & Educational Sciences**

**International Scientific Journal**

**Georgian Psychological  
Journal**

**2024, № 1**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

# ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი

2024, № 1



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა



„ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური, საერთაშორისო, რეფერირებადი, ბილინგვური ჟურნალია, რომელიც ეძღვნება აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს ფსიქოლოგიაში და ფსიქოლოგიის მომიჯნავე ინტერდისციპლინურ სფეროებში. ჟურნალი აქვეყნებს როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებულ, ისე რაოდენობრივ, თვისებრივ და შერეულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ ემპირიულ-კვლევით ნაშრომებს, აგრეთვე, სამეცნიერო მიმოხილვებს.

**მთავარი რედაქტორი:** ლალი სურმანიძე

**პასუხისმგებელი მდივანი:** ანა მუკბანიანი

**წარმომადგენლობითი საბჭო:** დავით ჩარკვიანი (საქართველო), ირაკლი იმედაძე (საქართველო), ალიოშა ნოიბაუერი (ავსტრია), ლია ყვავილაშვილი (დიდი ბრიტანეთი), ქეთევან ჭანტურია (დიდი ბრიტანეთი)

**სარედაქციო კოლეგია:** †ნათელა იმედაძე (საქართველო), დალი ფარჯანაძე (საქართველო), თამარ გაგოშიძე (საქართველო), მარინე ჩიტაშვილი (საქართველო), ბოჟიდარ კაცზმარეკი (პოლონეთი), იამზე კუტალაძე (საქართველო), ტარა მერფი (დიდი ბრიტანეთი), მზია ნერეთელი (საქართველო), დანიელ სტარკი (დიდი ბრიტანეთი), მედეა დესპოტაშვილი (საქართველო), ლუიზა არუთინოვი (საქართველო), მაია რობაქიძე (საქართველო)

The **Georgian Psychological Journal** is the official international bilingual peer reviewed journal of the TSU Faculty of Psychology and Educational Sciences, and is dedicated to urgent problems within Psychological disciplines.

The journal publishes empirical, theoretical, methodological, and practice-oriented articles covering topics relevant to time sensitive problems of psychology and interdisciplinary studies. Particular consideration is given to empirical articles using quantitative, qualitative, and mixed methodology. The journal welcomes manuscripts from scholars throughout the world, including research from multi-site international projects and work that has the potential to be adapted and implemented worldwide to address the needs of diverse populations, cultures, and communities.

**Editor:** Lali Surmanidze

**Executive Secretary:** Ana Mukbaniani

**Representative Board:** Davit Charkviani (Georgia), Irakli Imedadze (Georgia), Aljoscha Neubauer (Austria), Lia Kvavilashvili (UK), Ketevan Tchanturia (UK)

**Editorial Board Members:** †Natela Imedadze (Georgia), Dali Parjanadze (Georgia), Tamar Gagoshidze (Georgia), Marine Chitashvili (Georgia), Božydar Kaczmarek (Poland), Iamze Kutaladze (Georgia), Tara Murphy (UK), Mzia Tsereteli (Georgia), Daniel Stark (UK), Medea Despotashvili (Georgia), Luiza Arutinovi (Georgia), Maia Robaqidze (Georgia)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024

ISSN 2667-9027

E-ISSN 2960-9844

ნომერი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის,  
პროფესორ ნათელა იმედაძის ხსოვნას



# შინაარსი

## თეორია და მეთოდოლოგია

### THEORY AND METHODOLOGY

<b>ვახტანგ ნადარეიშვილი</b> .....	11
კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის საკითხები .....	11
<b>Vakhtang G. Nadareishvili</b> .....	20
Issues of Criminological Psychology .....	20

## ემპირიული კვლევები

### EMPIRICAL STUDIES

<b>ლილი ხეჩუაშვილი, ქეთევან ქიმოსტელი, მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი</b> .....	29
ეტლიდან დანახული „მე“ და სამყარო: სოციალური ადაპტაცია ფიზიკური ტრავმის შემდეგ და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა .....	29
<b>Lili Khechuashvili, Ketevan Kimosteli, Maia Mestvirishvili, Khatuna Martskvishvili</b> .....	49
The Self and the World as Seen from the Wheelchair: Social Adaptation after Physical Trauma and the Sense of Psychological Well-being .....	49
<b>ია კუტალაძე, ბარბარე ბუნაშვილი</b> .....	66
ორგანიზაციული ცინიზმის როლი ორგანიზაციული მხარდაჭერის, სამუშაოს მნიშვნელობის აღქმისა და ორგანიზაციული ვალდებულებების კავშირში .....	66
<b>Ia Kutaladze, Barbare Butsashvili</b> .....	81
The Role of Organizational Cynicism in the Relationship between Organizational Support, Perceived Meaningfulness of Work and Organizational Commitment .....	81
<b>მაია შაშვიაშვილი, მანანა მელიქიშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი</b> .....	95
კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე 6-11 წლის მოსწავლეებში .....	95
<b>Maia Shashviashvili, Manana Melikishvili, Zakaria Kitiashvili</b> .....	116
The Study of the Pedagogical Assessment Indicators of Reading Difficulty in 6-11-year-old Students with Dyslexia .....	116
<b>სოფიკო ანთაური, სოფიო თევდორაძე</b> .....	134
მასწავლებლის თვითეფექტურობის განცდა ინკლუზიური განათლებისადმი დამოკიდებულების კონტექსტში .....	134
<b>Sopiko Antauri, Sopio Tevdoradze</b> .....	152
The Teachers' Perception of Self-Efficacy and the Attitude towards Inclusive Education .....	152

ინტერდისციპლინური კვლევები  
INTERDISCIPLINARY STUDIES

<b>ვახტანგ ნადარეიშვილი</b> .....	169
იურიდიული ფსიქოლოგიის მეცნიერების სისტემის საკითხები .....	169
<b>Vakhtang G. Nadareishvili</b> .....	176
The Issues of the Scientific System of Psycho-legal Studies .....	176
<b>ვალერია ფურცელაძე</b> .....	182
სტიგმა-გაზღაიონინგის სემანტიკა: ენა, მანიპულაცია და კულტურული სტერეოტიპები საქართველოში.....	182
<b>Valeria Purtseladze</b> .....	192
Stigma – Gaslighting Semantics: Language, Manipulation and Cultural Stereotypes in Georgia .....	192
მომონება IN MEMORIAM	
<b>ირაკლი იმედაძე</b> .....	200
ნათელა იმედაძე – მეცნიერი და პედაგოგი .....	200
<b>Irakli Imedadze</b> .....	203
Natela Imedadze – Researcher and Pedagogist .....	203

თეორია და მეთოდოლოგია  
THEORY AND METHODOLOGY



# კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის საკითხები

## ვახტანგ ნადარეიშვილი<sup>1</sup>

### აბსტრაქტი

ტექსტში განხილულია დანაშაულის გამომწვევი და შემაკავებელი ფაქტორების კვლევასთან დაკავშირებული სოციოლოგიური, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური მიდგომების ნაწილი. ნაცადია დანაშაულობის შესწავლაზე ორიენტირებულ ტრადიციულ თეორიებში ფსიქოლოგიის მეცნიერების კომპლექტენციაში შემავალი სფეროების იდენტიფიკაცია და კვლევის პერსპექტიული მიმართულებების მონიშვნა.

მოცემულია კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის, როგორც იურიდიული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი განშტოების, სისტემაში შემავალი ზოგიერთი ქვემიმართულების დახასიათება და ანალიზი. შემოთავაზებულია სოციალური კონტროლისა და დაძაბულობის თეორიების სხვადასხვა, მათ შორის დ. უზნაძის ფსიქოლოგიის საქართველოს სკოლის, პოზიციებიდან ხედვის ვარიანტები, სახელდობრ: (ა) სოციალური სანქციის ეფექტურობის დაკავშირება ფსიქოლოგიაში არსებულ მოტივაციის კონცეფციებთან, მათ შორის, „მოსალოდნელი ღირებულების“ და „ქცევის პოტენციალის“ მოდელებთან; (ბ) სოციოლოგიურ და კრიმინოლოგიურ თეორიებში დანაშაულის გამომწვევ წამყვან ფაქტორად მიჩნეული დაძაბულობის ფენომენის ახსნა ფსიქოლოგიის, სახელდობრ განწყობის თეორიის, პოზიციებიდან და მისი დაკავშირება განწყობისეულ მზაობასთან, როგორც დაძაბულობის მატარებელ მდგომარეობასთან; (გ) სოციალური ინტეგრაციისა და სოციალური რეგულაციის განსხვავებები და თითოეულის უპირატესობები აქტივობის მართვის ეფექტურობის თვალსაზრისით. სოციალური კონტროლის აღნიშნული ორი სახეობის სპეციფიკის განსაზღვრულობა მათ საფუძვლად მდებარე ფსიქიკური წარმონაქმნების სახეობით („სიტუაციური“ და „ფიქსირებული დისპოზიციური განწყობა“), მათი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლებით (სტაბილობა, სიმტკიცე, ალგზნებადობა, რეაქტუა-ლიზაციის უნარი) და ურთიერთქმედების დინამიკით.

ნავარაუდევია, რომ კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის და, ზოგადად, იურიდიული ფსიქოლოგიის საკითხების დამუშავება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ფსიქოლოგიის სხვადასხვა ქვედარგის განვითარების სტიმულირებას და, მეორე მხრივ, სოციალური სტაბილობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მულტიდისციპლინური ძალისხმევის პროდუქტიულობას.

**საკვანძო სიტყვები:** დევიაცია, სოციალური კონტროლი, დაძაბულობა, განწყობა, სტაბილობა

კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია წარმოადგენს ფსიქოლოგიის ქვედარგის – იურიდიული ფსიქოლოგიის ერთ-ერთ განშტოებას. კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის საგნის, მისი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრასთან დაკავშირებით მრავალი შეხედულება არსებობს, რომელთაგანაც მხოლოდ რამდენიმეს მოვიტანთ საილუსტრაციოდ.

„კრიმინალური ფსიქოლოგია, რომელიც კრიმინოლოგიურ ფსიქოლოგიადაც იწოდება, მოიცავს დამნაშავის და დანაშაულებრივი ქცევის ყველა მონაწილის შეხედულებების, მოსაზრებების, განზრახვების, ქმედებებისა და რეაქციების შესწავლას“ (Kocsis, 2009).

<sup>1</sup> ვახტანგ ნადარეიშვილი – ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ.



David P. Farrington-ის მიხედვით, „კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია ესწრაფვის ახსნას ინდივიდების დანაშაულებრივი ქცევა და, ასევე, მიმართულია დანაშაულებრივი ქცევის შემცირებისა და პრევენციის საკითხებზე. ორი ძირითადი კითხვა, რომელიც კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებს დაესმის, შემდეგია: (1) რატომ ხდებიან ადამიანები დამნაშავენი და (2) რატომ სჩადიან ადამიანები კანონდარღვევას? განსხვავება ამ ორ კითხვას {საკითხს} შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველი ცდილობს ახსნას, თუ რატომ ყალიბდებიან ადამიანები დამნაშავეებად (ინტერინდივიდუალური სხვაობები) მაშინ, როდესაც მეორე ცდილობს ახსნას რატომ სჩადიან ადამიანები სამართალდარღვევებს (ინტრა-ინდივიდუალური განსხვავებები)“ (Farrington, 2004).

Vimala Veeraraghavan-ის თანახმად, კრიმინალური ფსიქოლოგია შეიძლება აღინეროს, როგორც „გამოყენებითი ფსიქოლოგიის განშტოება, რომელიც ფოკუსირებულია დამნაშავეთა მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზების დადგენაზე. ის, ასევე, შეიძლება დახასიათდეს, როგორც დამნაშავეს შეხედულებების, განზრახვების, რეაქციების და ნებელობითი ძალისხმევის კვლევა დანაშაულის ჩადენის მიზეზების დადგენისთვის“ (Veeraraghavan, 2022).

კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია, რომელიც კონცენტრირებულია დანაშაულობის საფუძვლად მდებარე სახელდობრ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე (მაგალითად, დევანტის/დამნაშავეს პიროვნული თავისებურებები, დევიაციური ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმები, სოციალიზაციის პროცესის დეფორმაციები და მათი შედეგები), დანაშაულის გამომწვევ მიზეზებთან ერთად, შეისწავლის ამ მიზეზების აღმოფხვრის ან/და მათზე ზემოქმედების, ანუ დანაშაულის შემაკავებელ ფაქტორებს. ქვემოთ მოვიტანთ დანაშაულობის შემაკავებელი და გამომწვევი მიზეზების ამხსნელი რამდენიმე თეორიის მოკლე მიმოხილვას.

## დანაშაულის შემაკავებელი ფაქტორები

დანაშაულის შემაკავებელი ფაქტორების ცენტრალურ, სოციალური კონტროლის მიმართულების თეორიებში, „სოციალური კონტროლის მექანიზმად განიხილება სოციალიზაცია, თუმცაღა, უფრო ზუსტად, ეს სოციალური კონტროლის ინტერიორიზაციის, მისი თვითკონტროლად გადაქცევის პროცესია“. აღნიშნულ მართებულ მოსაზრებას (გარდა იმისა, რომ არაა გამიჯნული სოციალური კონტროლის ინტერნალური და ექსტერნალური ვარიანტები), უნდა დაემატოს, რომ სოციალური კონტროლის (მით უფრო, მისი თვითრეგულაციური ვარიანტის), ანუ სოციალური ნორმებისა და ღირებულებების ინტერნალიზაცია, მხოლოდ მაშინ ხდება ფსიქოლოგიური პროცესების თვალსაზრისით გასაგები და ხსნის ნორმატიული აქტივობის აღძვრისა და რეგულაციის რეალურ და ქმედით მექანიზმს, თუ ნორმების ინტერიორიზაციის საფუძველზე მათი შესაბამისი ფსიქიკური წარმონაქმნების, მათი ფსიქიკური ეკვივალენტების (განწყობების, მოლოდინებისა და რწმენების სისტემები) ფორმირებასა და დინამიკას ვითვალისწინებთ და ვაანალიზებთ. ხსენებული ფსიქიკური წარმონაქმნების სახეობაზე (სიტუაციური, ფიქსირებული, დისპოზიციური) დამოკიდებულია მათი ეფექტურობა,

ანუ დევიაციური ქცევის შეკავების უნარი. ასე მაგალითად, სოციალური რეგულაციის ერთ-ერთი სპეციფიკა მდგომარეობს დევიაციური ტენდენციებისა და მიმდინარე ქცევების ნეიტრალიზებაში, სახელდობრ სიტუაციური განწყობების მეშვეობით, რომლებიც ანმყოში არსებული გარემო ვითარებების საფუძველზეა ფორმირებული და მათი მოქმედება რეგულაციის წყაროს უშუალო ზემოქმედების დროით შემოიფარგლება, ანუ მხოლოდ ექსტერნალურ და ერთჯერად, შესაბამისად, არამდგრად სოციალურ კონტროლს უზრუნველყოფს.

განსხვავებით სოციალური რეგულაციისგან, სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს ისეთი საბაზისო განწყობების (დისპოზიციური განწყობა, როგორც პიროვნული ნიშანი) არსებობას და მათ საფუძველზე აქტივობას, რომლებიც „მუდმივად აქტუალურ მდგომარეობაში იმყოფებიან, პერმანენტულად ახდენენ ნორმატიული ქცევის პატერნების სტიმულირებას და მათი დინამიკა ასრულებს დევიაციური განწყობების ბლოკირებისა და/ან ფორმირების პრევენციის ფუნქციას“ (Nadareishvili V.G. & Buachidze-Gabashvili, M., 2017), ანუ ინტერნალურ და მდგრად სოციალურ კონტროლს უზრუნველყოფენ.

ზემოაღნიშნული ფსიქიკური წარმონაქმნების ეფექტურობა დამოკიდებულია თითოეული მათგანის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, როგორებიცაა სიმტკიცე, სტაბილურობა, რეაქტულიზაციის უნარი და განწყობის ტიპი (დ. უზნაძის ტერმინებში, სტატიკური და დინამიკური განწყობა). ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სოციალური კონტროლის რეგულაციური და ინტეგრაციული სახეობების ქმედითობის/ეფექტურობის ანალიზისას, აუცილებელია ცნობიერი ნებელობითი და არაცნობიერი განწყობისეული რეგულაციის დაპირისპირების ან სინერგიის ფსიქოლოგიური კანონზომიერებების გათვალისწინება (Nadareishvili, V.G., & Chkheidze, T., 2013).

სოციალური კონტროლის ზოგადი და გავრცელებული განმარტებების თანახმად, ესაა „პროცესების ერთობლიობა სოციალურ სისტემაში, რომელთა მეშვეობით ხორციელდება გარკვეული ნიმუშების (ღირებულებათა სისტემები, მორალური და სამართლებრივი ნორმები) შესაბამისი ქცევის უზრუნველყოფა და შეზღუდვების დაცვა, რომელთა დარღვევა უარყოფითად მოქმედებს სისტემის ფუნქციონირებაზე. სოციალური კონტროლი ხორციელდება პოზიტიური (ნორმატიული ქცევისას) და ნეგატიური (დევიაციური ქცევისას) სანქციების მეშვეობით“ (Л. Ф. Ильичёв, П. Н. Федосеев, С. М. Ковалёв, В. Г. Панов., 1983). მორიგი განმარტებით, „სოციალური კონტროლის მთავარი მექანიზმია სოციალური სანქციები – პოზიტიური, რომლებიც ახდენენ ნორმის შესაბამისი ან ნორმიდან გადახრილი, მაგრამ მოწონებული ქცევის ვარიანტების სტიმულირებას და ნეგატიური, რომლებიც ახდენენ არასასურველი გადახრების რეპრესირებას“ (Ольшанский., 1970.).

როგორც მოტანილი განმარტებებიდან ჩანს, სოციალურ სანქციებს წამყვანი როლი ენიჭება სოციალური კონტროლის განხორციელებაში. სანქციის ერთ-ერთი დანიშნულებაა ნორმის შესატყვისი ქცევის სტიმულირება და ნორმის შეუსატყვისი ქცევის ბლოკირების სტიმულირება. გასაგებია, რომ ორივე შემთხვევაში მხედველობაშია აქტივობის მამოტივირებელი დეტერმინანტები.

შეფერდებით სოციალური სანქციების ეფექტურობის/ქმედითობის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური განმსაზღვრელების ურთიერთდაკავშირებულობაზე. სანქციის ეფექტურობას, ანუ მის უნარს გამოიწვიოს ქცევის აღძვრა ან ბლოკირება, სამი მსაზღვრელი აპირობებს: სანქციის დროულობა; გარდაუვალობა; თანაზომადობა/შესაბამისობა ქმედებასთან. ფსიქოლოგიური კონტექსტის შესაქმნელად, მიემართავთ რამდენიმე თეორიას:

ა) ცნობილია, რომ ქცევის წინასწარმეტყველების/პროგნოზირების ფორმულა  $BP = f(E \& RV)$ , შემდეგნაირად განიმარტება – „ქცევის პოტენციული წარმოადგენს მოლოდინისა და განმტკიცების ფასეულობის ფუნქციას. ან, სხვანაირად, ადამიანის მიერ რაიმე გარკვეული ქცევის გამოვლენის ალბათობა/შესაძლებლობა წარმოადგენს ფუნქციას (ა) ალბათობის, რომ ეს ქცევა მოიტანს მოცემულ შედეგს და (ბ) ამ შედეგის სასურველობის. თუ მოლოდინი და განმტკიცების ღირებულება (ორივე) მაღალია, ქცევის პოტენციული მაღალი იქნება“ (Mearns, 2021);

ბ) „დღეისათვის აღარაა შესაძლებელი მოლოდინი-ღირებულება თეორიების გათვალისწინების გარეშე მოტივაციის სფეროში კვლევის შესახებ ფიქრი. გარდა ამისა, მიზეზი ისაა, რომ ღირებულება და მოლოდინი წარმოადგენს ორ ფუნდამენტურ ცვლადს, რომლებიც მოტივაციურ ტენდენციებს წარმოქმნიან, რომლებიც, თავის მხრივ, გვაძლევენ არჩევანის შესაძლებლობას გავაკეთოთ რამე თუ არა“ (Beckman, J. & Heckhausen, H., 2008).

გ) დ. უზნაძის ინტერაქციულ თეორიაში, ქცევის აღძვრას ობიექტური ფაქტორის (რომელიც, ფსიქიკური რეგულაციის მაღალ დონეებზე, შესაძლოა წარმოსახული, პროგნოზირებული და მოსალოდნელი ობიექტის სახით იყოს მოცემული) და სუბიექტური/მოთხოვნილებითი ფაქტორის (ამ ტერმინის ფართო, მათ შორის მნიშვნელოვნებასთან, ვალენტოვნობასთან დაკავშირებულობის გაგებით) კომბინაცია უზრუნველყოფს. ეს კომბინაცია სხვადასხვა სახეობის განწყობაში ორგანიზდება/ერთიანდება, რომელიც, გარკვეული დაშვებებით, აქტივობის აღძვრის (მოცემულ შემთხვევაში, ნორმატიული ქცევის აღძვრა, ან არანორმატიული ქცევის ბლოკირება), ანუ მამოტივირებელ და რეგულაციურ ფუნქციას ასრულებს.

როგორც გამოჩნდა, სამივე თეორიული მიდგომის შემთხვევაში, აქტივობის აღძვრას ის კომბინირებული/კომპოზიტიური წარმონაქმნი უზრუნველყოფს, რომელშიც გაერთიანებულია კოგნიტური (მოსალოდნელობა/ალბათობა) და აფექტური (ფასეულობა/მნიშვნელოვნება/ვალენტობა) ასპექტები. ჩვენ სანქციის ეფექტურობის ზემოხსენებულ პირობებს – (ა) გარდაუვალობასა და (ბ) დროულობას მოსალოდნელობასთან/ალბათობასთან ვაკავშირებთ, ხოლო (გ) თანაზომადობას/ადეკვატურობას, სანქციის მნიშვნელოვნებასთან/ვალენტოვნობასთან. სწორედ კოგნიტური და აფექტური ასპექტების კომბინაცია, მათი სათანადო ინტენსივობა და ურთიერთთავსებადობა, მოსალოდნელ მოვლენას (მოცემულ შემთხვევაში, სოციალურ სანქციას, რომელიც ქმედებაზე სამომავლო, მოსალოდნელი პასუხი/მოცემულობა) მამოტივირებელ/მოტივაციურ დეტერმინანტად აქცევს და მის შესაბამის აქტივობას განსაზღვრავს.

## დანაშაულის გამომწვევი მიზეზები

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ამხსნელი, „ეტიკეტირების“ თეორიების თანახმად, ეტიკეტი (მაგალითად, „დამნაშავე“) ზემოქმედებს სოციალურ სუბიექტებზე და იწვევს მათში ეტიკეტის შინაარსის შესაბამისი ქცევის პროვოცირებას, მოცემულ შემთხვევაში, დანაშაულს. ფსიქოლოგიის პოზიციიდან განხილვისას, გასათვალისწინებელია, რომ ეტიკეტმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც მისი შესაბამისი<sup>1</sup>, ასევე სანინააღმდეგო ტენდენციები, რაც დამოკიდებული იქნება სუბიექტის ზოგად ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე (მაგ., დისპოზიციები) და კონკრეტულ ვითარებაში არსებულ აქტუალურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობებზე (მაგ., სიტუაციური განწყობა) (Nadareishvili, 2020).

„სოციალური დეზორგანიზაციის“ თეორიებში ძირითადი აქცენტი კეთდება ხშირი და უკონტროლო მიგრაციის შედეგად ჩამოყალიბებული სოციალური წარმონაქმნების (დიდი და მცირე სოციალური ერთობები) არაერთგვაროვნებაზე, დანაწევრებულობასა და დაპირისპირებულობაზე, რაც გამომწვეულია რელიგიური, ეთნიკური, პოლიტიკური, ქონებრივი და სოციალური სტატუსის განსხვავებულობით და არათავსებადობით. აღნიშნული არათავსებადობა, ცალკეული ჯგუფების კონფლიქტურობასთან ერთად, ძირითადი („მასპინძელი“) კულტურის ან სამართლებრივი სისტემის ნორმების მიუღებლობას, მათი შესრულების შეუძლებლობას ან სურვილის არარსებობას, მათთან დაპირისპირებას და, შესაბამისად, მათი დარღვევის გზით მიზნების მიღწევის ტენდენციებს და პრაქტიკას განსაზღვრავს. თავის მხრივ, არანორმატიული გზით ადაპტაცია დევიაციასა და დანაშაულს იწვევს. გასაგებია, რომ ამ სოციოლოგიურ მიდგომაში ფსიქოლოგიური ასპექტების შემდგომი დამუშავებისთვის აუცილებელია სოციალიზაციის ან რესოციალიზაციის პროცესში ადაპტაციის ფსიქოლოგიური კანონზომიერებების და ათითუდების/ფიქსირებული განწყობებისა და ნორმატიული სოციალური მოლოდინების სისტემების ფორმირების, ფუნქციონირების, ცვლისა და თავსებადობის კანონზომიერებების ზედმიწევნითი ანალიზი.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ამხსნელი სოციოლოგიური თეორიების ერთი ჯგუფი (ე. დიურკემის „ანომიის“ კონცეფცია, რ. მერტონის „დაძაბულობის თეორია“) აქცენტს აკეთებს მიზნებსა და მათი მიღწევის ხელმისაწვდომ საშუალებებს შორის განსვლაზე – „ჩემი ძირითადი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ აბერანტული {ნორმიდან გადახრილი. ვ.ნ.} ქცევა, სოციოლოგიის პოზიციიდან, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც კულტურით განერილ/განსაზღვრულ მისწრაფებებსა და ამ მისწრაფებების რეალიზაციის მიღწევის სოციალურად სტრუქტურირებულ გზებს/საშუალებებს შორის განსვლის სიმპტომი“ (Merton, 1968). აღნიშნული განსვლა იწვევს მიზნის რეალიზაციისა და დაძაბულობის ნორმატიული გზით განტვირთვის შეუძლებლობას და, შესაბამისად, მისი განტვირთვისთვის ადაპტაციის დევიაციური მოდელების ამოქ-

<sup>1</sup> მაგ., ეტიკეტი „ნასამართლელი“ ზღუდავს ან ბლოკავს დასაქმების გზით კანონიერი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, რაც იწვევს ადაპტაციის ალტერნატიული მეთოდების გამოყენების, ანუ „ფრუსტრაციით“ გამომწვეული დაძაბულობის დევიაციური გზით განტვირთვის, პროვოცირებას.

მედებას. „ყველაზე შედეგიან ქცევის წესს, მიუხედავად იმისა, არის ის კულტურის პოზიციიდან ლეგიტიმირებული თუ არა, ჩვეულებრივ, უპირატესობა ენიჭება ინსტიტუციონალურად განერილ ქცევის წესთან შედარებით. თუ წნორმაში მოცემული ქცევის მოდელის ჩაქრობის, ან მისი განხორციელების ემოციური მხარდაჭერის განღვევის (ვ.ნ.) პროცესი განგრძობადია, საზოგადოება არასტაბილური ხდება და ყალიბდება ის, რასაც დიურკემმა „ანომია“ (ან უნორმოზა) უწოდა“ (Merton, 1968).

მსგავს თეორიებში, რომლებიც დაძაბულობის წარმოქმნის მექანიზმებს სოციოლოგიური პერსპექტივიდან ანალიზებენ, ნაკლები ყურადღება ეთმობა საკუთრივ დაძაბულობის რაობის და მისი წარმომავლობის საკითხებს. მიუხედავად სოციალური სტრუქტურის ზემოქმედების საკითხების დომინირებისა, სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს, რ. მერტონის მოსაზრება დაძაბულობის წარმოქმნის ერთ-ერთი წყაროს შესახებ – „ნაკლებ სავარაუდოა, რომ ერთხელ ინტერიორიზებული კულტურული ნორმები სრულად ქრებიან. რაოდენი ნაშთიც არ უნდა შენარჩუნდეს, ის ინვესს პიროვნულ დაძაბულობებს და კონფლიქტს, რომლებსაც განცდისეული გაორებულობის გარკვეული ხარისხი სდევს. ერთხელ გაშინაგნებული ინსტიტუციონალური ნორმების აშკარად გამოხატულ მიუღებლობას/უარყოფას თან დაერთვის მათი გარკვეული ემოციური კორელატების თანმდევი შენარჩუნებულობა. ბრალეულობის და გადაცდომის განცდა, სინდისის ქენჯნა, ეს განსხვავებული ტერმინებია, რომლებიც დაკავშირებულია ამ გაუნელებელ დაძაბულობასთან“ (Merton, 1968). ამ მართებულ და ღრმა მსჯელობას ჩვენ ვაკავშირებთ:

ა) ნებელობითი პროცესის ერთ-ერთ ეტაპთან – ქცევის შეფერხებისა და ნებისყოფისმიერი ძალისხმევის გამოყენების აუცილებლობის მიზეზთან, რომელიც მდგომარეობს განსვლაში და დაპირისპირებაში თუნდაც „მინავლებული“, აქტუალობის მინიმალური ხარისხის მქონე, ფიქსირებული წარმონაქმნებით გამოწვეულ ნორმატიული ქცევის „ნარჩენ“ ტენდენციებს/მზაობებსა და აქტუალური სიტუაციური წარმონაქმნებით სტიმულირებულ დევიაციური ქცევის ტენდენციებს შორის. სწორედ აღწერილ ვითარებას აქვს ადგილი დევიაციური ქცევის განწყობის ბლოკირებისა და ნორმატიული ქცევის განწყობის ცნობიერი ნებელობითი ძალისხმევის მეშვეობით კონსტრუირებისა ან „რეანიმაციის“ აუცილებლობის შემთხვევაში (Nadareishvili, 2020 );

ბ) ფიქსირებული წარმონაქმნის კომპონენტების არათავსებადობით გამოწვეულ პრობლემებთან აქტივობაში, როდესაც, დისონანსის წარმოქმნის საწყის ეტაპზე, კომპონენტები შესაძლოა სხვადასხვა განწყობების წიალიდან მომდინარეობდნენ და ამიტომ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

ფსიქოლოგიის პოზიციიდან ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს დაძაბულობის წარმოქმნის და, შესაბამისად, დევიაციის პროვოცირების, შემდეგი მიზეზების გათვალისწინება:

ა) ადაპტაციისთვის საჭირო ქცევის განწყობის არარსებობა, როდესაც ვერ იქმნება მოთხოვნილების ნორმატიული გზით დაკმაყოფილების უზრუნველმყოფელი ფსიქიკური წარმონაქმნი, რაც ინვესს მოთხოვნილებაში იმთავითვე არსებული დაძა-

ბულობის აკუმულაციას და მისი განტვირთვის მიზნით იგივე მოთხოვნების სხვა, დევიაციური ქცევის, განწყობის შემადგენლობაში ინკორპორირებას და მისი მეშვეობით რეალიზაციის მცდელობას; ბ) განწყობების, ანუ მზაობის მდგომარეობაში მყოფი, აქტუალიზებული ფსიქო-ფიზიკური რესურსის, რეალიზაციის შეფერხება (როდესაც განწყობისეული მზაობა განიხილება დაძაბულობის მატარებელ ფსიქიკურ მოცემულობად), რაც იწვევს მზაობაში არსებული დაძაბულობის განსხვავებული (არანორმატიული ქცევის) განწყობად ტრანსფორმირების სტიმულირებას და მისი მეშვეობით დაძაბულობის განტვირთვის მცდელობას. სხვა სიტყვებით: (ა) მოთხოვნისა და განწყობის (სხვადასხვა ხარისხით) გულისხმობს ფსიქო-ფიზიკური რესურსის აქტუალიზაციას/მზაობაში ყოფნას, ამ რესურსის ამოქმედების/რეალიზაციის ტენდენციას და, შესაბამისად, „პირველად“ დაძაბულობას/მუხტს/აღმძრავს, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი აქტივობისთვის („პოზიტიური“ დაძაბულობა); (ბ) დაუკმაყოფილებელი მოთხოვნებისა და არარეალიზებული განწყობის მეორეული, დამატებითი დაძაბულობა ესწრაფვის სხვა, მათ შორის დევიაციური ქცევის, განწყობად ტრანსფორმირებას და მისი მეშვეობით განტვირთვის/რეალიზაციას („ნეგატიური“ დაძაბულობა).

ამგვარად, დაძაბულობისა და დევიაციის დაკავშირებულობის საკითხებზე მსჯელობისას, ერთ-ერთი მიდგომა შესაძლოა შემდეგნაირად გამოიყურებოდეს – „დაძაბულობის მდგომარეობას ქმნის არა მიზნის მიუღწევლობა, როგორც ასეთი, არამედ მიღწევის ინსტრუმენტის, მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი აქტივობის უზრუნველყოფის საშუალების, ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლის – განწყობის ფორმირების შეუძლებლობა ან განწყობის რეალიზაციის ბლოკირება და მისი არარეალიზებული სახით არსებობა. უფრო ზოგადად – დაძაბულობის წარმოქმნის მიზეზია ფსიქიკური წონასწორობის დარღვევა, როდესაც წონასწორობაში განწყობების (და შესაბამისი ქცევების) ფორმირების, ცვლისა და რეალიზაციის უწყვეტი დინამიკური პროცესი მოაზრება“ (Nadareishvili, 2008).

## დასკვნა

დევიაციური ქცევის კვლევის სფეროში კომპლექსური სოციოლოგიურ-კრიმინოლოგიური თეორიები დომინირებენ. ამ ტანდემის იმპოზანტურობის მიუხედავად, მაინც ძნელია საუბარი მის თვითკმარობაზე დევიაციური ქცევის გამომწვევი და შემაკავებელი ფაქტორების კვლევის სფეროში. დევიაციური და დანაშაულებრივი ქცევის შემცირებისა და, შესაბამისად, სოციალური სტაბილობისა და უსაფრთხოების ამოცანების გადასაჭრელად, აუცილებელია ფსიქოლოგიის მეცნიერების რელევანტური სფეროების სათანადო სიღრმით დამუშავება და ხსენებულ მიმართულებებთან კოორდინირებული მულტიდისციპლინური მიდგომის განვითარება.

ტექსტში მოტანილი მსჯელობების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პერსპექტიულად გამოიყურება: ა) სოციალური კონტროლის ეფექტურობის კვლევა მოტივაციის ფსიქოლოგიური კონცეფციების გამოყენებით/პოზიციიდან; ბ) დანაშაულობის გამომწვევ ძირითად ფაქტორად მიჩნეული დაძაბულობის მოვლენის/ფენომენის ახსნა

განწყობის, როგორც აქტივობისთვის მთლიანპიროვნული მზაობისა და არარეალიზებული განწყობის, როგორც მეორეული დაძაბულობის მატარებელი ფსიქიკური წარმონაქმნების ანალიზის მეშვეობით; გ) სოციალური ინტეგრაციისა და სოციალური რეგულაციის ეფექტურობის განსხვავებულობის კვლევა მათ საფუძვლად მდებარე სიტუაციური და ფიქსირებული წარმონაქმნების სახეობების სპეციფიკის, მათი ურთიერთქმედების დინამიკისა და დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების პოზიციიდან.

მოცემულ სფეროში მომუშავე მეცნიერები (Pakes, F.& Pakes, S., 2012) თვლიან, რომ კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია, ძირითადად, ცდილობს უპასუხოს ორ კითხვაზე (ა) რით შეუძლია ფსიქოლოგიას ხელი შეუწყოს დანაშაულის, მისი გამომწვევი მიზეზების, შედეგებისა და პრევენციის გაგებას და (ბ) რით შეუძლია ფსიქოლოგიას დაეხმაროს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას დანაშაულობასთან გამკლავებაში. მითითებული ავტორების აზრით, რამდენადაც კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია გამოყენებითი ფსიქოლოგიის განშტოებას წარმოადგენს, ძალისხმევა მიიმართება დანაშაულის და მართლმსაჯულების პრობლემების გადაჭრაში ზოგადი ფსიქოლოგიის გამოყენებაზე. გასაგებია, რომ ეს მართებული პოზიცია გულისხმობს კრიმინოლოგიურ ფსიქოლოგიაში წარმოებულ კვლევებში (მათ შორის საქართველოში მიმდინარე) ჩართვის მეშვეობით ფსიქოლოგიის არაერთი ქვედარგის განვითარების სტიმულირებას, არსებული მონაცემების კონსოლიდაციას და ასევე, კვლევის საერთაშორისო დღის წესრიგთან დაახლოებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

- Beckmann, J. & Heckhausen, H. (2008). Motivation as a Function of Expectancy and Incentive. In Heckhausen, J. & Heckhausen, H. (Eds.) *Motivation and action* (pp. 99-137). New York: Cambridge University Press.
- Farrington, D. P. (2004). Criminological Psychology in the 21st Century. *Criminal Behaviour and Mental Health Volume: 14 Issue: 3.*, 152-166.
- Kocsis, R. N. (2009). *Applied criminal psychology: a guide to forensic behavioral sciences* 20,07,2024. <https://encyclopedia.thefreedictionary.com/Criminal+psychology>>Criminal psychology</a>
- Mearns, J. (2021). *The Social Learning Theory of Julian B. Rotter.* 20,06, 2024, <https://psych.fullerton.edu/jmearns/rotter.htm>
- Merton, R. K. (1968). *Social Theory and Social Structure.* New York: The Free Press.
- Nadareishvili V.G.& Buachidze-Gabashvili, M. (2017). Types of Social Control: Psychological Aspects. *European Scientific Journal*, 432-438. [https://gruni.edu.ge/uploads/files/News/2017/10/7th\\_EMF\\_2017.pdf#page=443](https://gruni.edu.ge/uploads/files/News/2017/10/7th_EMF_2017.pdf#page=443)
- Nadareishvili, V. (2008). Deviation, Strain Theories and Attitudinal Balance Model. *Journal of Georgian Psychology*, #1, 128-138.

- Nadareishvili, V. (2020). Interrelationship Between Fixed And Situational Mental Entities. *Georgian Psychological Journal* #1, 129-157.  
<https://georgianpsychologyjournal.tsu.ge/index.php/gpj/article/view/6334>
- Nadareishvili, V.G., & Chkheidze, T. (2013). Normative and Deviant Behavior in Terms of D. Uznadze Set Theory based Strain Model. *European Scientific Journal*. 552-557  
[https://scholar.googleusercontent.com/scholar?q=cache:iRStrF5A99MJ:scholar.google.com/+european+scientific+journal+nadareishvili&hl=en&as\\_sdt=0,5&as\\_vis=1](https://scholar.googleusercontent.com/scholar?q=cache:iRStrF5A99MJ:scholar.google.com/+european+scientific+journal+nadareishvili&hl=en&as_sdt=0,5&as_vis=1)
- Pakes, F.& Pakes, S. (2012). *Criminal Psychology*. NY: Routledge Taylor & Francis Group.
- Veeraraghavan, V. (2022). *Introduction to Criminal Psychology*. 30.06.2024  
<https://egyankosh.ac.in/bitstream/123456789/89891/1/Unit-4.pdf>.
- Л. Ф. Ильичёв, П. Н. Федосеев, С. М. Ковалёв, В. Г. Панов. (1983). *Социальный контроль*. 20.05.2024. [https://dic.academic.ru/dic.nsf/enc\\_philosophy/4824/%D0%A1%D0%9E%D0%A6%D0%98%D0%90%D0%9B%D0%AC%D0%9D%D0%AB%D0%99](https://dic.academic.ru/dic.nsf/enc_philosophy/4824/%D0%A1%D0%9E%D0%A6%D0%98%D0%90%D0%9B%D0%AC%D0%9D%D0%AB%D0%99).
- Ольшанский, В. (1970). *Социальный контроль*. 20.05. 2024, [https://dic.academic.ru/dic.nsf/enc\\_philosophy/4824/%D0%A1%D0%9E%D0%A6%D0%98%D0%90%D0%9B%D0%AC%D0%9D%D0%AB%D0%99](https://dic.academic.ru/dic.nsf/enc_philosophy/4824/%D0%A1%D0%9E%D0%A6%D0%98%D0%90%D0%9B%D0%AC%D0%9D%D0%AB%D0%99)



# ISSUES OF CRIMINOLOGICAL PSYCHOLOGY

Vakhtang G. Nadareishvili<sup>1</sup>

## Abstract

*The article reviews parts of sociological, criminological and psychological approaches concerning the research into the factors instigating and restraining criminality. An attempt is made to identify the spheres within the competence of the science of psychology that focus on the study of crime in traditional theories and mark prospective research directions.*

*The following is a description and analysis of some subfields of criminological psychology as one of the branches of psycho-legal studies. Social control and strain are regarded from different theoretical perspectives including D. Uznadze's theory representing the Georgian school of psychology. In particular, the article discusses the following: (a) establishing connection between the efficacy of social sanctions and motivational models in psychology, including the models of 'expected values' and 'behaviour potential'; (b) explanation of strain as a leading factor of criminality, as proposed by sociological and criminological theories, from the perspective of psychological Theory of Set and its connection with the concept of readiness in Set Theory, where readiness is understood as a state of tension; (c) differences in social integration and social regulation and the advantages of each in terms of their ability to exercise control; defining the specificity of the two forms of social control by types of underlying mental formations (i.e. situational set and dispositional set), their differential psychological characteristics (stability, steadiness, excitability, reactualization potential) and the dynamics of interaction.*

*It is assumed that the elaboration on the issues of criminological psychology and psycho-legal studies in general, will not only stimulate the development of different sub-disciplines of psychology, but will also ensure social stability and security as well as the productivity of multidisciplinary efforts.*

**Key words:** *deviation, social control, strain, set, stability*

Criminological psychology is one of the directions of a sub-discipline of psychology-psycho-legal studies. There are many views of the subject, goals and objectives of criminological psychology. Several of them are illustrated below.

"Criminal psychology, also referred to as criminological psychology, is the study of the views, thoughts, intentions, actions and reactions of criminals and all who participate in criminal behavior" (Koscis, 2009).

According to David P. Farrington, criminological psychology strives to explain the criminal behaviour of individuals and is also concerned with reducing and preventing criminal behaviour. Two of the main questions for criminological psychologists to address are: (1) Why do people become offenders, and (2) Why do people commit offenses? The distinction between these two questions is that the first tries to explain the development of offenders (between-individual differences), while the second tries to explain the commission of offenses (within-individual differences) (Farrington, 2004).

---

<sup>1</sup> Vakhtang G. Nadareishvili – Phd in Psychology, TSU.

Vimala Veeraraghavan describes criminological psychology as “a branch of applied psychology that focuses on determination of the criminal’s reasons for committing a crime. It can also be described as a study of thoughts, intentions, reactions and wills of a criminal so as to ascertain why the crime was committed” (Veeraraghavan, 2022).

Criminological psychology which focuses on the psychological factors underlying criminality (e.g. personality characteristics of the deviant/criminal, psychological mechanisms of deviant behavior, deformations of the socialization process and their outcomes), in addition to the causes of crime, studies the means of affecting/eradicating crime or the factors restricting crime. Find below a brief review of several theories explaining restraining and instigating factors of criminality.

### **Factors Restraining Criminality**

In the social control theories about the factors restraining criminality “sometimes socialization is considered to be a social control mechanism. To be more precise, it is the process of the internalization of social control, its transformation into self-control” (Ольшанский., 1970.). To this legitimate point of view (except for not distinguishing internal and external versions of social control) should be added the following: the internalization of social control (and even more so its self-regulatory version), that is the internalization of social norms and values, becomes psychologically understandable and explains the actual and effective mechanisms of instigation and regulation of normative activity only if we view them from the perspective of underlying processes, that is the formation and dynamics of corresponding mental entities or their equivalents (like sets, expectancies, value system). Their effectiveness, or the ability to restrain deviant behavior depends on the type of those mental formations/entities (situational, fixated, dispositional). For example, one of the specificities of social regulation is related to the neutralization of deviant tendencies and deviant behaviour via situational sets which are formed on the basis of current conditions. Their functioning is limited to the period during which the source of regulation exerts its direct impact. This means that such impact is external and one-off, and, therefore, only ensures unstable social control.

Differently from social regulation, social integration implies the existence of basic sets (dispositional set as a personality trait) and the performance of activity on the basis of such sets which are “always in the actual state, permanently stimulate the patterns of normative behavior and the function of their dynamics is to block deviant sets and/or prevent their formation.” (Nadareishvili V.G.& Buachidze-Gabashvili,M, 2017) This means that dispositional sets ensure internal and stable social control.

The effectiveness of the above-mentioned mental formations depends on differential psychological characteristics (steadiness, stability, reactualization potential and dynamic set). It is also important that to analyze the effectiveness of regulatory and integrative types of social control, it is necessary to consider the psychological regularities of opposition or synergy between conscious, voluntary and unconscious, set-based regulation (Nadareishvili, V.G., & Chkheidze, T. , 2013).

According to a general and widely accepted definition of social control, it is a “combination of processes within a social system (society, social group, organization, etc.) which ensures adherence to certain activity patterns as well as adherence to behavioral restrictions, violation of which has a negative impact on the functioning of the system.” (Л. Ф. Ильичёв, П. Н. Федосеев, С. М. Ковалёв, В. Г. Панов., 1983) According to another definition, “the major mechanisms of social control are social sanctions: positive, stimulate those deviations from norms that are acceptable by the group and negative, repress undesirable deviations.” (Ольшанский., 1970.)

As we see from the above definitions, social sanctions play a leading role in exercising social control. One of the functions of sanctions is the stimulation of behaviors that are in correspondence with norms or the stimulation of blockage of those behaviors that do not correspond to norms. In both cases we deal with the determinants motivating behavior.

Here we discuss the relationship between the legal and psychological factors in determining the effectiveness of social sanctions. The effectiveness of any sanction or its ability to instigate or block behavior depends on (a) timeliness of sanction; (b) its inevitability; (c) correspondence with the action.

Find below several theories to present the psychological context:

1) The formula used to predict behavior ( $BP = f(E \& RV)$ ), has the following meaning: “Behavior potential is a function of expectancy and reinforcement value. Or, in other words, the likelihood of a person exhibiting a particular behavior is a function of the probability that behavior will lead to a given outcome and the desirability of that outcome. If expectancy and reinforcement value are both high, then behavior potential will be high” (Mearns, 2021).

2) “Today it is no longer possible to think about research in motivation without taking into account expectancy-value theories (cf. Feather, 1982). If for no other reason, this is because value and expectancy are the two fundamental variables producing motivation tendencies, which in turn provide us with the option to do or not do something.” (Beckmann, J. & Heckhausen, H., 2008)

3) In D. Uznadze’s interaction theory, behavior is evoked by combination of objective and subjective factors. At high levels of mental regulation, the objective factor can be represented by imaginary, predicted and expected object. The subjective factor (need) is used in a broad sense, which, among other things, implies its relatedness to valence. This combination is arranged in different types of set and ensures the instigation of certain types of behavior (in our case the instigation of normative behavior and blocking of non-normative behavior) or plays motivating and regulatory functions.

As we see, all the three theoretical approaches imply that the instigation of activity is ensured by a composite formation which combines cognitive (probability/expectancy) and affective (value/importance/valence) dimensions. From the above-mentioned preconditions that determine effectiveness of sanctions, we relate (a) inevitability and (b) timeliness to expectancy/probability and (c) correspondence to the importance/valence of sanction. It is just the combination of cognitive and affective aspects, their intensity and congruence

that transform an expected event (in our case the social sanction which is a future, expected response to an action) into the motivating/motivational determinant and instigate the corresponding activity.

## Causes of Crime

Labelling theory which explains the causes of criminality says that a label (for example, 'criminal') affects social subjects and provokes in them the behavior corresponding to the content of that particular label (in this case provokes criminal behavior). From the psychological perspective, a label can evoke the behavior corresponding to that label,<sup>1</sup> as well as the opposite tendencies, which depends on the individual's general psychological characteristics (e.g., dispositions) and a specific actual psychological condition (e.g., situational set) (Nadareishvili, 2020 ).

'Social disorganization' theories mainly emphasize the nature of social formations (large and small social unities) that have been formed as a result of frequent and uncontrollable migration. These formations are heterogeneous, fragmented, and are in opposition with each other, which is caused by religious, ethnic, and political differences as well as unequal economic and social status. Such an incongruence together with a conflicting nature of individual groups causes unacceptance of the norms of the main (host) culture or the legal system, prevents adherence to those norms, reduces motivation of their acceptance and triggers the tendency to go against them. As a result, the groups are inclined to violate the norms to reach their own objectives, which develops into an established practice. On the other hand, adaptation through non-normative means causes deviance and crime. It is clear that to further elaborate the psychological aspects of such sociological approach, it becomes necessary to consider their role in the process of socialization and re-socialization. This implies a rigorous analysis of the psychological regularities of adaptation, examination of the ways in which attitudes /fixated sets and normative social expectations are formed and changed as well as the understanding of the regularities that govern the congruence of those formations.

One of the groups of sociological theories that deals with the causes of crime (Durkheim's concept of anomie and R. Merton's strain theory) emphasizes dissociation between the goals and the available means of their achievement. "My central hypothesis is that aberrant behavior {behavior deviating from the norm (V.N.)} may be regarded sociologically as a symptom of dissociation between culturally prescribed aspirations and socially structured avenues for realizing these aspirations." (Merton, 1968). Such a dissociation makes it impossible to achieve the goal and reduce the strain through normative means, and, consequently, triggers deviant models of adaptation to eliminate the strain. "The technically most effective procedure, whether culturally legitimate or not, becomes typically preferred to institutionally prescribed conduct. As this process of attenuation {ex-

---

<sup>1</sup> For example, the label 'convict' limits or blocks the opportunity of receiving legal income through employment, which, as a result, provokes the use of alternative adaptation methods or the reduction of strain which has been caused by 'frustration' through a deviant behavior.

tion of the behavioral model implied in the norms or decrease of emotional support to performance of this behavior (V.N.) continues, the society becomes unstable and there develops what Durkheim called “anomie” (or normlessness)” (Merton, 1968).

In like theories explaining the mechanisms of the production of strain from the sociological perspective, little attention is paid to the essence of strain and its origin. Despite the dominance of the issues concerning the impact of social structures, R.Merton’s perspective on one of the sources of dominance deserves special attention: “It appears unlikely that cultural norms, once interiorized, are wholly eliminated. Whatever residuum persists will induce personality tensions and conflict, with some measure of ambivalence. A manifest rejection of the once-incorporated institutional norms will be coupled with some latent retention of their emotional correlates. Guilt feelings, a sense of sin, pangs of conscience are diverse terms referring to this un-relieved tension.” (Merton, 1968) We relate this legitimate and in-depth analysis to:

a) one of the stages of the volunatary process, namely the cause of necessity to pause a behavior and make a voluntary effort. It could be described as a conflict or dissociation between weak, residual tendency/readiness with a minimum actualization potential to perform normative behavior and a deviant behavior stimulated by actual situational formations. This is what happens when it becomes necessary to block a deviant behavior and construe or ‘reanimate’ the set of normative behavior through conscious, voluntary effort (Nadareishvili, 2020 ).

b) problems caused by incongruency between the components of a fixed formation in the context of activity when, at the initial stage of dissonance formation, these components might be originating from different sets and, therefore, be in conflict with each other.

From the psychological perspective, one of the approaches considers the following reasons for the creation of strain and, consequently, induction of deviant behavior:

a) Non-existence of the set necessary for adaptive behavior. In such case the mental formation ensuring the satisfaction of need through normative means cannot form. This results in the accumulation of tension which already exists in the need. To release this tension the given need is incorporated in the set of a different behavior (in this case deviant behavior) and tries to realize itself through this particular set; b) impediment of the realization of sets or actualized psycho-physical resources existing in the form of readiness (when this kind of readiness is considered a mental formation containing tension). This stimulates the transformation of tension (i.e. the tension accumulated in the set) into a different set underlying non-normative behavior and stimulates the reduction of tension through that different set. In other words (a) both set and need imply, to a different extent, actualization/readiness of psycho-physical resources, the tendency to realize/bring into action these resources and, consequently, evoke the ‘primary’ tension/impulse, which is necessary for any activity (‘positive’ tension); (b) secondary, additional tension of unsatisfied need and unrealized set tends to transform into another set (including the set underlying deviant behavior) to release tension and realize oneself through the given set (‘negative’ tension).

Therefore, when dealing with the relationship between deviation and tension, one of the approaches could be the following: "It is not the inability to achieve the goal that creates tension. Tension is created because of the inability to form set – a psychological basis of behavior ensuring the activity necessary for goal achievement. Another reason could be the blockage of the realization of set and its existence in unrealized form. In more general terms, the reason for the creation of tension is a mental imbalance where balance is understood as a continuous dynamic process of the formation of set (and, consequently, behavior), its change and realization." (Nadareishvili, 2008)

## Conclusion

Research into deviant behavior is dominated by complex sociological-criminological theories. Despite their importance, it is still difficult to conclude that those theories are comprehensive enough for conducting research into the factors inducing and restraining deviant behavior. To reduce deviant and criminal behavior, and, consequently, solve the stability and safety-related problems, it is necessary to elaborate on the relevant fields of psychology to a needed extent and develop a single multidisciplinary approach together with the above approaches.

Based on the analysis presented in the given text, we believe that the research should take the following directions: a) examine the effectiveness of social control from the perspective of psychological models; b) explain strain, as the main factor of criminality through the analysis of set as a general state of readiness for action as well as of unrealized set as mental formation implying secondary tension; c) examine the difference in the effectiveness of social integration and social regulation by specificity of underlying situational and fixated sets, dynamics of their interaction and differential – psychological characteristics.

Students of this field (Pakes, F. & Pakes, S., 2012) believe that psychology tries to find an answer to the following main questions: (a) how psychology can further our understanding of crime, its causes, consequences and prevention, and (b) how psychology can help the criminal justice system and other agencies deal with crime. According to the authors mentioned above, since criminological psychology is a branch of applied psychology attempts should be made to apply general psychology to the issues of crime and justice. It is clear that the above legitimate perspective implies the stimulation of the development of different fields of psychology through their inclusion into the research conducted in criminological psychology (including Georgia), consolidation of the existing data and their approximation to the international research agenda.

## Bibliography

- Beckmann, J. & Heckhausen, H. (2008). Motivation as a Function of Expectancy and Incentive. In Heckhausen, J. & Heckhausen, H. (Eds.) *Motivation and action* (pp. 99-137). New York: Cambridge University Press.
- Farrington, D. P. (2004). Criminological Psychology in the 21st Century. *Criminal Behaviour and Mental Health Volume: 14 Issue: 3.*, 152-166.

- Kocsis, R. N. (2009). *Applied criminal psychology: a guide to forensic behavioral sciences* 20,07,2024. <https://encyclopedia.thefreedictionary.com/Criminal+psychology>">Criminal psychology</a>
- Mearns, J. (2021). *The Social Learning Theory of Julian B. Rotter*. 20,06, 2024, <https://psych.fullerton.edu/jmearns/rotter.htm>
- Merton, R. K. (1968). *Social Theory and Social Structure*. New York: The Free Press.
- Nadareishvili V.G.& Buachidze-Gabashvili,M. (2017). Types of Social Control: Psychological Aspects. *European Scientific Journal*, 432-438. [https://gruni.edu.ge/uploads/files/News/2017/10/7th\\_EMF\\_2017.pdf#page=443](https://gruni.edu.ge/uploads/files/News/2017/10/7th_EMF_2017.pdf#page=443)
- Nadareishvili, V. (2008). Deviation, Strain Theories and Attitudinal Balance Model. *Journal of Georgian Psychology*, #1, 128-138.
- Nadareishvili, V. (2020). Interrelationship Between Fixed And Situational Mental Entities. *Georgian Psychological Journal* #1, 129-157. <https://georgianpsychologyjournal.tsu.ge/index.php/gpj/article/view/6334>
- Nadareishvili, V.G., & Chkheidze, T. (2013). Normative and Deviant Behavior in Terms of D. Uznadze Set Theory based Strain Model. *European Scientific Journal*. 552-557 [https://scholar.googleusercontent.com/scholar?q=cache:iRStrF5A99MJ:scholar.google.com/+european+scientific+journal+nadareishvili&hl=en&as\\_sdt=0,5&as\\_vis=1](https://scholar.googleusercontent.com/scholar?q=cache:iRStrF5A99MJ:scholar.google.com/+european+scientific+journal+nadareishvili&hl=en&as_sdt=0,5&as_vis=1)
- Hallum, R. S. (2008). Perceived Teacher Self-Efficacy as a predictor of job stress and burnout: Mediation Analyses. *Applied Psychology*, 57(s1), 152–171. <https://doi.org/10.1111/j.1464-0597.2008.00359.x>
- Hennemann, K. U. (2014). Attitudes Towards Inclusion and Self-Efficacy of Principals and Teachers. *Learning Disabilities: A Contemporary Journal*, 151-168

ინტერდისციპლინური კვლევები  
INTERDISCIPLINARY STUDIES



# იურიდიული ფსიქოლოგიის მეცნიერების სისტემის საკითხები

## ვახტანგ ნადარეიშვილი<sup>1</sup>

### აბსტრაქტი

მოცემული ტექსტის მიზანია ფსიქოლოგიის მეცნიერების ადგილისა და მნიშვნელობის მითითება სოციალური ურთიერთობების ნორმატიული რეგულირების ეფექტურობის გაზრდაზე მიმართულ თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში, საკუთრივ იურიდიული ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებების მიმოხილვა, ფსიქოლოგიისა და სამართლის მეცნიერებების ურთიერთთანამშრომლობის სფეროების მითითება, აქტუალური თემატიკის/პრობლემატური საკითხების იდენტიფიცირება და თანამშრომლობის პერსპექტიული მიმართულებების ხედვის ხელშეწყობა. ტექსტის მიზანს, აგრეთვე, წარმოადგენს ფსიქოლოგიისა და იურისპრუდენციის პოტენციალის სრული გამოყენებისა და მულტიდისციპლინური მიდგომის პროდუქტიულობის ნათელყოფა და აღნიშნული თანამშრომლობის სტიმულირება სოციალური უსაფრთხოების, სტაბილურობისა და პროგრესის უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** ქვედარგები, ნორმატიული, რეგულაცია, დევიაცია, ათითუდი

ტრადიციულად, ფსიქოლოგია და, შესაბამისად, მისი გამოყენებითი ქვედარგიც, იურიდიული ფსიქოლოგია (ფსიქოლოგია-სამართლის მეცნიერება<sup>2</sup>), საუკეთესო შემთხვევაში, სამართლის მეცნიერებების დამხმარე, მეორე პლანის რესურსად მიიჩნეოდა, რომელსაც მხოლოდ მცირერიცხოვან და სპეციალურ შემთხვევებში მიმართავდნენ, არადა „ძნელი წარმოსადგენია ინტელექტუალური სფეროები, რომლებიც, თუ შინაარსობრივად იქნებიან დაწყვილებული, იყვნენ უფრო ინტერდისციპლინური, ვიდრე ფსიქოლოგია და სამართალი. ფსიქოლოგიასაც და სამართალსაც, არსობრივად, საქმე აქვს ადამიანის ქცევის აღწერასთან, ანალიზთან, ახსნასთან, წინასწარმეტყველებასთან და ზოგჯერ, ფორმირებასთანაც. აღნიშნულ სფეროებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები, მეტწილად, მეთოდებშია“ (Carson, D. & Milne, R. & Pakes, F. & Shalev, K. & Shawyer, A., 2007).

ფსიქოლოგიის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების საფუძველს (აქ ჩვენ მხოლოდ საკუთრივ ფსიქოლოგიის პრობლემებზე მითითებით შემოვიფარგლებით), სხვასთან ერთად, იურიდიული ფსიქოლოგიის განვითარების არასაკმარისი დონე და, შესაბამისად, მისი გამოყენების სარგებლიანობაში დარწმუნებულობის დაბალი ხარისხი წარმოადგენდა. უკანასკნელ ათწლეულებში, საერთაშორისო პრაქტიკაში, ფსიქოლოგიისა და სამართლის მეცნიერებების ურთიერთთანამშრომლობაში სერიოზულ ძვრებს ჰქონდა ადგილი (მათ შორის, ნაწილობრივ, საქართველოშიც), რაც იურიდიული ფსიქოლოგიის გარკვეული წარმატებებით შეიძლება აიხსნას. გასაგებია, რომ ამ ორი სფეროს ურთიერთქმედების ინტენსივობა და, შესაბამისად, პროდუქტიულობა

<sup>1</sup> ვახტანგ ნადარეიშვილი- ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ.

<sup>2</sup> Psycho-Legal Studies.

დამოკიდებულია მათი წარმომადგენლების კომპეტენციაზე და ძალისხმევაზე კონცენტრირდნენ და კოორდინირდნენ ორივე სფეროსთვის მნიშვნელოვან და აქტუალურ ურთიერთგადამკვეთ თემატიკაზე. სამართლიანია მკვლევარების მიდგომა, რომლის თანახმადაც „საკითხი არ დგას ფსიქოლოგიისა და სამართლის მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობის თაობაზე, არამედ ეხება იმას, თუ რა ზღვრამდე არის მზად სამართალი და სამართლებრივი სისტემა და საჭიროდ თვლის რომ მიიღოს („შეინყნაროს“) ფსიქოლოგია და რა ზომით არიან ფსიქოლოგები მზად და აუცილებლად მიაჩნიათ თავიანთი საქმიანობა მოარგონ სამართლებრივი სისტემის საჭიროებებს და მოთხოვნებს“ (Carson, 1995).

ფსიქოლოგიისა და სამართლის თანამშრომლობის აუცილებლობასა და მიმართულებებს ასახავს ამერიკის ფსიქოლოგიის ასოციაციის განყოფილებისა და ფსიქოლოგია-სამართლის საზოგადოების მიერ დეკლარირებული, მოცემული დარგის პრიორიტეტული მიზნები (The American Psychology-Law Society):

ა) სამართლისა და სამართლებრივი ინსტიტუტების ცოდნასა და გაცნობიერებაში ფსიქოლოგიის წვლილის ამაღლება ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის მეშვეობით;

ბ) სამართლებრივ საკითხებში ფსიქოლოგთა განათლებისა და სამართლის სფეროს მუშაკების ფსიქოლოგიური განათლების სტიმულირება და ხელშეწყობა;

გ) ფსიქოლოგთა და სამართალმცოდნეთა პროფესიული გაერთიანებებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირება ფსიქოლოგიისა და სამართლის სფეროში მიმდინარე კვლევითი, საგანმანათლებლო და მომსახურებითი საქმიანობის შესახებ.

ეხება რა ფსიქოლოგია – სამართლის სამეცნიერო სფეროს განვითარებას, A. Kapardis მიუთითებს – „სამართალთან მიმართებით ფსიქოლოგიის გამოყენების შესახებ ვარიანტების სიმრავლე შეიძლება დიფერენცირდეს იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება განმარტებული: (ა) ფსიქოლოგია სამართალში (psychology in law); (ბ) ფსიქოლოგია და სამართალი (psychology and law); (გ) სამართლის ფსიქოლოგია (psychology of law)“ (Kapardis, 2014). Blackburn-ის განსაზღვრების თანახმად, ფსიქოლოგია სამართალში გულისხმობს „ფსიქოლოგიის სპეციფიკურ/კონკრეტულ გამოყენებას სამართლის სფეროში, მაგალითად, როგორცაა: მოწმის ჩვენების სანდოობა; ბრალდებულის/განსასჯელის ფსიქიკური მდგომარეობა; განქორწინების შემთხვევაში მშობლის შესაფერისობა/ვარგისიანობა ბავშვზე მეურვეობისთვის“ (Blackburn, 1996). A. Kapardis-ის მიხედვით, „ფსიქოლოგია სამართალში ყველაზე ხშირად გამოყენებადი {ტერმინი} იყო ზემოხსენებული სამიდან და წარმომადგენდა უხერხულობის {გაურკვეველობის} გამომწვევ ძირითად წყაროს სამართლებრივ ფსიქოლოგიაში (legal psychology)“ (Kapardis, 2014). სახელწოდება ფსიქოლოგია და სამართალი Blackburn-ის მიერ გამოიყენება იმისთვის, „რათა მოიცვას, მაგალითად, სამართალდამრღვევებთან, ადვოკატებთან, მოსამართლეებთან და მსაჯულებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიურ-სამართლებრივი (psycholegal) კვლევები. დაბოლოს, სამართლის ფსიქოლოგია გამოიყენება ისეთი საკითხების ფსიქოლოგიურ კვლევებთან მიმართებაში, როგორებიცაა: რატომ ემორჩილებიან/არ ემორჩილებიან ადამიანები გარკვეულ კანონებს; ზნეობრივი განვითარება; საზოგადოებრივი წარმოდგენები და ათითუდები სხვადასხვაგვარი სა-

დამსჯელო სანქციების მიმართ“ (Blackburn, 1996). რაც შეეხება სახელწოდებას *სასამართლო ფსიქოლოგია (forensic psychology)*, ის უნდა გამოყენებულ იქნას მხოლოდ „სასამართლოებისთვის ფსიქოლოგიური ინფორმაციის უშუალო მიწოდების/წარდგენის შემთხვევების, ანუ სასამართლოებში წარმოებული {ფსიქოლოგიური} საქმიანობის აღსანიშნად“ (Blackburn, 1996).

რამდენადაც არ არსებობს *სამართლებრივი ფსიქოლოგიის (legal psychology)* საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება, Kapardis-ის შეხედულებით, J. Ogloff-ის მიერ შემოთავაზებული, ქვემოთ მოტანილი დეფინიცია, საკმარისად ფართოა და ზომიერიც, იმისთვის, რათა შეამციროს მოცემულ სფეროსთან დაკავშირებული გარკვეული განუსაზღვრელობა – *სამართლებრივი ფსიქოლოგია* ესაა „ადამიანებზე სამართლის ზემოქმედებისა და ადამიანების სამართალზე გავლენის მეცნიერული შესწავლა. სამართლებრივი ფსიქოლოგია, ასევე, მოიცავს ფსიქოლოგიური კვლევის და პრაქტიკის გამოყენებას სამართლებრივ ინსტიტუტებთან და სამართალთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებთან მიმართებით“ (Ogloff, 2000).

ზემოთ მოტანილი განმარტებების გათვალისწინებით, სახელწოდებაში „იურიდიული ფსიქოლოგია“ ვიგულისხმებთ ფსიქოლოგიის ქვედარგს, რომელიც აერთიანებს ფსიქოლოგია-სამართლის სფეროში წარმოებულ თეორიულ, გამოყენებით და პრაქტიკულ საქმიანობას. იურიდიული ფსიქოლოგია მოიცავს კვლევისა და პრაქტიკის მრავალ მიმართულებას, რომლებიც, სისტემატიზაციისას, თანაბარი წარმატებით შეიძლება ერთდროულად მიეკუთვნონ ერთ ან რამდენიმე სფეროს, რაც დამოკიდებული იქნება კონკრეტული ქვეყნის ან ფსიქოლოგიის სკოლის სამეცნიერო-კვლევით ტრადიციაზე, მოცემული დარგის მნიშვნელობაზე კონკრეტული საზოგადოებისთვის, ზოგად შეხედულებაზე სამეცნიერო დისციპლინების საგანზე და ობიექტზე და მათ მიმართებაზე, აგრეთვე, კონკრეტული ქვედარგის თუ მიმართულების განვითარების დონეზე მოცემული ეტაპისთვის.

იურიდიული ფსიქოლოგიის გამოყენების სფეროები მუდმივად ფართოვდება. ეს სფეროები (მეცნიერების სისტემა), როგორც აღინიშნა, მრავალგვარად შეიძლება დაჯგუფდეს. ქვემოთ მოვიტანთ რამდენიმე კლასიფიკაციის ოდნავ მოდიფიცირებულ ვერსიებს. G. Gulotta (Gulotta, G. & Curci, A., 2009) და A. Kapardis (Kapardis, 2014) კლასიფიკაციების გათვალისწინებით:

1. **Judicial Psychology** {სასამართლოს/იუსტიციური ფსიქოლოგია ვ.ნ.} ფოკუსირდება ინდივიდზე, როგორც ბრალდებულზე ან განსასჯელზე და, ასევე, სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეებზე – მოწმეზე, დაზარალებულზე, დამცველზე, მოსამართლეზე;
2. **Criminal Psychology** {კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია. ვ.ნ.} შეისწავლის ინდივიდს/პირს, როგორც სამართალდამრღვევს და როგორც დევინანტს;
3. **Legal Psychology** {სამართლის ფსიქოლოგია ვ.ნ.} აწარმოებს ფსიქოლოგიური ცოდნის კოორდინირებას და მიმართავს მოქმედი სისხლისა და სამოქალაქო კანონმდებლობის საჭიროებებისთვის გამოსაყენებლად;
4. **Forensic Psychology** {სასამართლო ფსიქოლოგია ვ.ნ.} დაკავშირებულია საკითხებთან, რომელთა ფსიქოლოგიური ასპექტები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ სამართლებრივი შეფასებისა და ექსპერტიზის თვალსაზრისით;



5. **Re-educative Psychology** {საგანმანათლებლო-კორექციული. ვ.ნ.} შეისწავლის ინდივიდებს, რომლებიც ექვემდებარებიან გამასწორებელ და რეაბილიტაციურ ან სადამსჯელო ზემოქმედებას. სწავლობს შესაბამისი ღონისძიებების დანიშნულებას, ფასეულობას, მიზანშეწონილობას და ეფექტურობას;
6. **Legislative Psychology** (საკანონმდებლო ფსიქოლოგია. ვ.ნ.) მონაწილეობს მოქმედი კანონმდებლობის დახვეწაში და ახალი იურიდიული ნორმების შემუშავებაში.

Gulotta-ას მიერ შემოთავაზებული, ზემოთ გამოყენებულთაგან განსხვავებულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლასიფიკაციის მიხედვით, ფსიქოლოგია-სამართლის სფეროში ფსიქოლოგიის გამოყენება შეიძლება იყოს „პირდაპირი/უშუალო – როდესაც {საკითხის} მეცნიერული {ფსიქოლოგიური} არსის ზედმინევით გათვალისწინება ხდება (მაგალითად, სამართალდამრღვევის პიროვნული მახასიათებლების ან მოწმის მეხსიერების შეფასება) და ირიბი – როდესაც ფსიქოლოგიური მეთოდები გამოიყენება დიაგნოსტიკური საშუალებების/მეთოდების განსაზღვრისა და გაუმჯობესებისთვის (მაგალითად, ექსპერტიზა, ან ჯვარედინი დაკითხვა)“ (Gulotta, G. & Curci, A., 2009). იგივე ავტორის მიხედვით, „ფსიქოლოგიას შეუძლია დაეხმაროს სამართალს მის ძალისხმევაში მოახდინოს რეალობის უტყუარი რეკონსტრუქცია. მართლაც, სასამართლო პროცესი ფოკუსირებულია არა ისტორიულ რეალობაზე, არამედ, ყველა არსებული პროცედურული საშუალების გამოყენებით, ახალი რეალობის კონსტრუირებაზე, რომელიც მიისწრაფვის ისტორიული რეალობისკენ“ (Gulotta, G. & Curci, A., 2009).

იურიდიული ფსიქოლოგიის სისტემა, ძალზე შეკვეცილად და სქემატურად, შესაძლოა შემდეგი ელემენტების/მიმართულებების სახითაც წარმოვადგინოთ:

1. სამართლის ფსიქოლოგია:

სისტემა ადამიანი-საზოგადოება-სახელმწიფო-სამართალი;

სოციალური სისტემების სტაბილურობა;

სოციალური სისტემების ტრანსფორმაციის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები;

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;

სამართლიანობა და სამართალი;

დემოკრატიზაციის პროცესი – სოციალურ რეგულაციაზე სოციალური ინტეგრაციის პრევალირების დინამიკა;

სოციალური ადაპტაციისა და დეზადაპტაციის თემატიკა;

სოციალური ნორმების ფორმირების, ცვლისა და მოქმედების კანონზომიერებები;

სამართლის ქმედითობის (ეფექტიურობის) სოციალ-ფსიქოლოგიური, იურიდიული და პოლიტიკური ნაწილობრივი;

მართლზომიერი ქცევა, სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა;

დევიაცია და დანაშაული;

დანაშაულობა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები;

სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, სამართლის ზეობა („კანონის უზენაესობა“).

2. კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია:

დანაშაულობისა და დანაშაულის გამომწვევი, სახელდობრ ფსიქოლოგიური, მიზეზები/ფაქტორები;

დევიაციური და დანაშაულებრივი ქცევის, სამართალდარღვევის ფსიქოლოგიური მექანიზმები;

სამართალცნობიერების (მართლშეგნების) ჩამოყალიბებისა და დეფორმაციის კანონზომიერებები;

სოციალური კონტროლის ფსიქოლოგიური ასპექტები;

დანაშაულის/ქმედების სუბიექტი („დამნაშავის პიროვნება“);

დანაშაულის/ქმედების სუბიექტური მხარე (განზრახვა, მიზანი, ემოცია, მოტივი);

დანაშაულის პრევენციის საკითხები;

გამასწორებელ-კორექციული და აღმზრდელობითი ღონისძიებების ეფექტურობის პრობლემატიკა;

მართლსაწინააღმდეგო ქცევის განმსაზღვრელი პიროვნული და ჯგუფური (სუბკულტურა, კონტრკულტურა) ნიშნების დიაგნოსტიკა და ქცევითი მოდელებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბების პრევენცია;

სოციალიზაციის და რესოციალიზაციის პროცესში მიმდინარე, სოციალური ღირებულებებისა და ნორმების ინტერიორიზაციისა და ფიქსაციის (მდგრადი ფსიქიკური წარმონაქმნების ფორმირების) ფსიქოლოგიური კანონზომიერებები;

აგრესიისა და კონფლიქტის თემატიკა;

დანაშაულობის გენდერული და დემოგრაფიული კორელატები;

ოჯახის და არასრულწლოვანთა პრობლემატიკა (ძალადობა ოჯახში, ბულინგი);

ვიქტიმოლოგია. დანაშაულის მსხვერპლი. რისკის წარმოქმნის და დანაშაულის პროვოცირების ფსიქოლოგიური ფაქტორები.

### 3. სასამართლო ფსიქოლოგია:

სამართალწარმოებისა და სამართალგამოყენების სფეროსთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ასპექტები;

სამართალდამცავთა ფსიქოლოგია და მათი საქმიანობის ფსიქოლოგიური დახასიათება;

სამართალდამცავთა ფსიქოლოგიური შეფასების, შერჩევისა და სწავლების მეთოდები;

ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მონმეთა, დაზარალებულთა, ნაფიც მსაჯულთა კონსულტირება და შერჩევა;

დაკითხვისა და ჩვენების ფსიქოლოგია: ინფორმაციის მიღების, ფიქსირების, შეფასების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები. ჩვენებებში შეცდომებისა და ტყუილის ფაქტების დიაგნოსტიკა და პრევენცია. დაკითხვის სტრატეგიისა და ტაქტიკის ფსიქოლოგიური მდგენელები;

სამართალწარმოების მონაწილეთა ურთიერთშემოქმედების მეთოდები და მისი დასაშვები საზღვრები (სპეციალური ეთიკა). ფსიქიკური იძულების, ძალადობის, შთაგონების, დეზინფორმაციის საკითხები;

ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი;

ქმედუნარიანობის საკითხები (აფექტი, შერაცხადობა, ნაწილობრივი შერაცხადობა, შეურაცხადობა);

სასამართლო-ფსიქოლოგიური და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია.

4. პენიტენციარული და კორექციული ფსიქოლოგია:

სამართალდამრღვევთა რესოციალიზაცია და რეადაპტაცია;

სოციალური ადაპტაციის დარღვევები და დეზადაპტაციის პრობლემები (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია);

პიროვნული მახასიათებლების შეფასება (შენწყალების, ამნისტიის, პირობით ვადამდე გათავისუფლების კონტექსტი);

პრობაციის ინსტიტუტის პრობლემატიკა;

სასჯელსრულების დაწესებულებაში ყოფნასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური მდგომარეობები;

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არაფორმალური ჯგუფების წარმოქმნისა და ფუნქციონირების ფსიქოლოგიური ასპექტები;

პენოლოგია. დასჯისა და სასჯელის ფსიქოლოგიური კონცეფციები.

5. საკანონმდებლო ფსიქოლოგია:

სამართლის ნორმატიული სისტემისა და კონკრეტული ნორმების შესწავლა საზოგადოების მოცემულ მდგომარეობასთან (საზოგადოებრივი აზრის შესწავლა), მოთხოვნებთან, მიზნებთან და გამოწვევებთან საკანონმდებლო დღის წესრიგის თავსებადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;

საკანონმდებლო ცვლილებების შეტანისა და ამოქმედების დაგეგმვა მათთან ადაპტაციისთვის საჭირო ვადების დადგენის და, შესაბამისად, მათი ეფექტიურობისა და საზოგადოებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

6. ფსიქოლოგიური სამართალი:

„სამართალმცოდნეობის პოზიციიდან შეინსავლის სამართლის ნორმებს, რომლებიც საჭიროებენ ფსიქოლოგიურ შეფასებას მათი განმარტების ან გამოყენებისთვის. ფსიქოლოგია ფოკუსირებულია საკუთრივ კოგნიტურ და ქცევით ასპექტებზე და იმ გავლენაზე, რომელიც მათ აქვთ მესამე მხარეზე. ამგვარად, ფსიქოლოგია სპეციფიკური დისციპლინაა, რომელსაც შეუძლია ადამიანის ქცევის სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებაში დახმარების აღმოჩენა. არსობრივი თვალსაზრისით, ის მიმართებაშია „ფსიქოლოგიურ მდგომარეობებთან“, „ვითარებებთან“, „არემოებებთან“ და „პასუხისმგებლობასთან“ (Gulotta, G. & Curci, A., 2009).

ზემოთ მოტანილი ჩამონათვალის გარდა, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ფსიქოლოგიაში სამართლებრივი კულტურის კვლევითი მიმართულების გამოყოფა, ვინაიდან, გარდა სრულყოფილი ნორმატიული სისტემის არსებობისა, ნორმატიული სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის და არანორმატიული/დევიაციური/დანაშაულებრივი ტენდენციების აღკვეთისა და პრევენციისთვის აუცილებელია „ადამიანის ფაქტორის/განზომილების“ გათვალისწინება, სახელდობრ, საზოგადოებისა და ცალკეული ინდივიდის სამართლებრივი კულტურის მაღალი დონის არსებობა. სამართლებრივი კულტურის მდგენელი – სამართალცნობიერება/მართლშეგნება მოიცავს სამართალთან და სამართლებრივ სისტემასთან დაკავშირებული განწყობების, მოლოდინების, შესხედულებების, დამოკიდებულებებისა და რწმენების სისტემებს. სა-

მართლმწივი კულტურის მეორე მდგენელი – ნორმატიული/სამართლებრივი ქცევა ეხება და მოიცავს აქტივობის ცნობიერი და არაცნობიერი რეგულატორების სინერგიზმის საკითხებს, რომლებიც, მეტწილად, არაცნობიერი არსებობის მქონე ფსიქიკური წარმონაქმნებისა და ნებელობისა და მოტივაციის ცნობიერი პროცესების ურთიერთშემავსებელი თანამშრომლობის საკითხების ანალიზთან არის დაკავშირებული. ცხადია, რომ აღნიშნული თემატიკა ფსიქოლოგიის კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს და ამ მიმართულებაზე კვლევის ფოკუსირების გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი კულტურის და, ზოგადად, ნორმატიული რეგულაციის საკითხების სრულფასოვანი ანალიზი.

იურიდიული ფსიქოლოგიის ამოცანებისა და მიმართულებების ჩამონათვალადან ნათლად ჩანს, რომ ნორმატიული რეგულაციის საკითხების დამუშავებისას, პიროვნების კარდინალური ფსიქოლოგიური მახასიათებლების, კონკრეტული ფსიქოლოგიური მდგომარეობების, მისი განწყობებისა და მოლოდინების სისტემებისა და აქტივობის ფსიქიკური რეგულაციის დონეების სპეციფიკის გათვალისწინების აუცილებლობას ავტორთა უმეტესობა ადასტურებს. გასაგებია, რომ დ. უზნაძის განწყობის თეორიაზე დაფუძნებულ ფსიქოლოგიის საქართველოს სკოლას, სათანადო სამეცნიერო ძალისხმევის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ფსიქოლოგია-სამართლის მეცნიერების განვითარებაში. გასათვალისწინებელია, რომ ჩამოთვლილი და სხვა თემატური მიზნების რეალიზაცია დაკავშირებულია ფსიქოლოგიაში შესაბამისი მიმართულებებით წარმოებული კვლევების ინტენსიფიკაციასთან და, შესაბამისად, ზოგადად ფსიქოლოგიის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მიმართულებების განვითარების სტიმულირებასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Blackburn, R. (1996). What is forensic psychology? *Legal and Criminological Psychology* Volume 1, Issue 1 p. 3-16.
- Carson, D. (Ed.). (1995). *Handbook of psychology in legal contexts* (2 ed.). Wiley.
- Carson, D. & Milne, R. & Pakes, F. & Shalev, K. & Shawyer, A. (2007). Psychology and Law: A Science to be Applied. In Carson D. (Ed.), *Applying Psychology to Criminal Justice* (1 ed., pp. 1-19). Wiley.
- Gulotta, G. & Curci, A. (2009). Juridical Psychology. (S. Carta, Ed.) *Encyclopedia of Life Support Systems*, 3, p. 412.
- Kapardis, A. (2014). *Psychology and Law A Critical Introduction* (4th ed.). Cambridge University Press.
- Ogloff, J. (2000). Two steps forward and one step backward: The law and psychology movement(s) in the 20th century. *Law and Human Behavior*, Vol 24(4), pp. 457-483.
- The American Psychology-Law Society. (n.d.). <http://www.apadivisions.org/division-41/about/index.aspx>. Retrieved 2024, from <https://ap-ls.org/about/>.

# THE ISSUES OF THE SCIENTIFIC SYSTEM OF PSYCHO-LEGAL STUDIES

Vakhtang G. Nadareishvili<sup>1</sup>

## Abstract

The purpose of the given article is to define the place and importance of psychological science in increasing the effectiveness of theoretical and practical activity directed at normative regulation of social relationships. In particular, the article reviews modern directions of psycho-legal studies, defines the areas of cooperation between psychology and legal studies, identifies the important themes/problem issues, as well as the promising directions in this kind of cooperation. The article also aims to highlight the productivity of a full utilization of the potential of these two areas (psychology and law), as well as of the productivity of multidisciplinary approach, stimulate cooperation between these two areas for the purpose of social security, stability and progress, strengthening legality and law and order, as well as the fight against crime and protection of human rights.

**Key words:** *sub-disciplines, normative, regulation, deviance, attitude*

Traditionally, psychology, and, correspondingly, its applied sub-discipline psycho-legal studies was thought to be a second-rank resource, assisting legal studies and was only considered in very few, special cases. At the same time, "it is difficult to conceive of intellectual domains that should, once paired semantically, be more interdisciplinary than 'psychology and law'. Both psychology and law are, fundamentally, concerned with describing, analyzing, understanding, explaining, predicting and, sometimes, shaping human behavior. Most certainly there are major differences in methods." (Carson, D. & Milne, R. & Pakes, F. & Shalev, K. & Shawyer, A., 2007)

One of the reasons for scepticism around psychology (here we confine ourselves to psychology problems) was, among other things, insufficiently developed psycho-legal studies and, consequently, disbelief in their utility. In the last decades, a serious breakthrough was observed in cooperation between psychology and legal sciences at the international level (also, partially, in Georgia), which could be explained by some success achieved in psycho-legal studies. It is easy to understand that the intensity and productivity of cooperation between the two fields depends on the competence of its representatives and their efforts to focus on mutually interesting themes and coordinate their efforts around the problems that are important for both. It is entirely legitimate to state that "The issues are not the relevance of psychology and law to each other but the extent to which the law and legal system should and are prepared, to embrace psychology and the extent to which psychologists should, and are prepared, to adapt their work to the needs and requirements of the legal system." (Carson, 1995)

---

<sup>1</sup> Vakhtang G. Nadareishvili-Doctor of Psychology, TSU

The American Psychological Association emphasizes the necessity of cooperation between psychology and law, the directions of which are reflected in the corresponding division of APA and the priority purposes declared by the American Psychology-Law Society:

- a) Advance the contributions of psychology to the understanding of law and legal institutions through basic and applied research;
- b) Promote the education of psychologists in matters of law and the education of legal personnel in matters of psychology, including the appropriate use of psychologists in the legal system;
- c) Inform the psychological and legal communities and the general public of current research, educational, and service activities in the field of psychology and law.

When discussing development of psychology – law, as a scientific field, A. Kapardis notes the following: “ The plethora of applications of psychology to law can be differentiated in terms of what has been defined as: (a) *psychology in law* (b) *psychology and law* and (c) *psychology of law* (Kapardis, 2014). According to Blackburn’s definition, *psychology in law* refers to “specific applications of psychology within law: such as the reliability of eye-witness testimony, mental state of the defendant, and a parent’s suitability for child custody in a divorce case” (Blackburn, 1996). According to A. Kapardis, psychology in law was the most frequently used term among the three mentioned above and was the main source of confusion in legal psychology (Kapardis, 2014). Blackburn uses *psychology and law* to denote, for example, psychological research into offenders, lawyers, magistrates, judges and jurors (psycho-legal studies). Finally, *psychology of law* is used to refer to psychological research into such issues as to “why people obey/disobey certain laws, moral development, and public perceptions and attitudes towards various penal sanctions” (Blackburn, 1996). As far as the term forensic psychology is concerned, it should only be used to denote the “direct provision of psychological information to the courts, that is, to psychology in the courts” (Blackburn, 1996).

Kapardis thinks that as there is no generally acceptable definition of legal psychology, the definition suggested by J. Ogloff is sufficiently broad and parsimonious to reduce the confusion surrounding this sphere. “Legal psychology is the scientific study of the effects of law on people; and the effect people have on the law. Legal psychology also includes the application of the study and practice of psychology to legal institutions and people who come into contact with the law.” (Ogloff, 2000)

While considering the above definitions, for us *psycho-legal studies* is a sub-discipline of psychology which unites all theoretical, applied and practical activities in psychology – law sphere. Psycho-legal studies include many directions in research and practice, the systematization of which equally allows to allocate them to one or several spheres depending on scientific traditions, importance of the given field for an individual society, a general vision of the subject and object of a scientific discipline and their relationship, as well as the level of development of a specific direction or sub-discipline for the given moment.

The spheres of the application of psycho-legal studies broaden all the time. As already noted, these spheres (scientific system) can be grouped in many different ways. Find below slightly modified versions of several classifications, with G. Gulotta (Gulotta, G. & Curci, A., 2009) and A. Kapardis (Kapardis, 2014) classifications taken into consideration:

1. Judicial Psychology focuses on the individual as a defendant as well as other participants of the trial – eyewitness, victim, lawyer, judge;
2. Criminal Psychology [or criminological psychology] studies an individual/person as an offender and as a deviant;
3. Legal Psychology coordinates psychological knowledge and uses it to meet the needs of criminal and civil law;
4. Forensic Psychology is related to the issues the psychological aspects of which gain crucial importance in legal evaluation and expertise;
5. Re-educative Psychology studies the individuals who are under corrective and rehabilitation or punitive measures as well as the purpose, value, advisability and effectiveness of those measures;
6. Legislative Psychology participates in the refinement of enacted legislation and the elaboration of new juridical norms.

In the classification proposed by Gulotta, the criteria of which are different from those stated above, the use of psychology in psychology – law could be direct and indirect. “It is direct if scientific content is strictly considered, as, for instance, in the evaluation of defendants’ personalities or the memory of eyewitnesses. It is indirect if psychological methods are used, as, for instance, to establish and improve diagnostic techniques in expertise or cross-examination.” (Gulotta, G. & Curci, A., 2009) According to the same author, “psychology can aid the law to strive toward a truthful reconstruction of reality. Indeed, the focus of trials is not historical reality, but the construction of a new reality that tends towards historical reality through all available procedural means.” (Gulotta, G. & Curci, A., 2009)

The system of psycho-legal studies can be presented in a concise, schematic form emphasizing its major elements/directions:

*1. Legal psychology:*

The system: individual – society – state – law;

Stability of social systems;

Social and psychological aspects of the transformation of social systems;

The individual's rights and freedoms;

Justice and law;

Democratization process – the dynamics of the prevalence of social integration over social regulation;

Themes of social adaption and maladaptation;

Regularities of the formation, change and operation of social norms;

Social, psychological, juridical and political preconditions of the effectiveness of law;

Lawful behavior, offence and juridical responsibility;

Deviance and crime;

Criminality and the mass media;

Legal state, civic society, rule of law;

### *2. Criminological psychology:*

The factors of criminality and crime, in particular psychological factors/causes;

Psychological mechanisms of deviant and criminal behavior; psychological mechanisms of offense;

Regularities of the formation and deformation of legal awareness;

Psychological aspects of social control;

The subject of crime/action (criminal's personality);

The subjective aspect of crime/action (intention, purpose, emotion, motive);

Issues of crime prevention;

The problem of effectiveness of corrective and re-educative measures;

Diagnostics of personal and group (subculture, counterculture) characteristics determining illegal behavior and the prevention of behavioral patterns and stereotypes;

Psychological regularities of the internalization and fixation of norms and values (i.e. development of stable mental formations) during socialization and re-socialization;

The issues of aggression and conflict;

Gender and demographic correlates of criminality;

Family and adolescent issues (domestic violence, bullying);

Victimology. Crime victim. Psychological factors of risk generation and the provocation of crime.

### *3. Forensic psychology:*

Psychological aspects of legal proceedings and law enforcement;

Psychology of law enforcers and the psychological description of their activity; psychological evaluation, selection and training methods for law enforcers;

Consulting and selecting accused, convicts, sentenced, witnesses, jurors;

Psychology of interrogation and testimony: psychological regularities of obtaining, recording and evaluating information; diagnostics and prevention of errors and fakes in testimony; psychological composites of interrogation strategy and tactics;

The methods of influence used by the participants of legal proceedings and their acceptable limits (special ethics); problems related to psychological coercion, violence, suggestion, and disinformation;

Exculpatory or mitigating circumstances of fault;

Issues related to legal capacity (affect, imputability, partial imputability, diminished responsibility);



Methodology and methods/techniques of forensic/judicial – psychological and complex psychiatric – psychological expertise.

4. *Penitentiary and re-educative psychology:*

Resocialization and re-adaptation of offenders;

Social adaptation disorders and the problems of maladjustment (alcoholism, drug addiction);

Assessment of personality characteristics (in the context of amnesty and conditional early release);

Probation institute related issues;

Psychological conditions of inmates in penitentiary institutions;

Psychological aspects of the formation and functioning of informal groups in the places of detention;

Penology. Psychological concepts of punishment and penalty.

5. *Legislative psychology:*

Studying normative systems and specific norms to ensure the compatibility of the legal agenda with the current state of society (public opinion surveys), its needs, goals and challenges;

Planning legislative changes and their enactment to determine the time-frame necessary for adaptation to these changes, and consequently, to ensure their efficacy and social stability.

6. *Psychological law:*

“Studies legal norms from a juridical standpoint deserving psychological evaluation for their interpretation or application. Psychology specifically focuses on cognitive and behavioral aspects and how they affect third parties. Psychology is therefore the specific discipline that might help to judge human conduct in a legal sense. From a substantial perspective, it refers to “psychological states,” “situations,” “circumstances,” and “responsibility.” (Gulotta, G. & Curci, A., 2009)

In addition to the above, it is advisable to introduce into psycho-legal studies another direction, which is the examination of the legal culture. In addition to the existence of comprehensive normative system, to ensure full functioning of the normative system and eliminate and prevent non-normative/deviant/ criminal tendencies, it is necessary to consider “a human dimension”, that is the existence of a high level of legal culture at the individual and societal levels. A component of the legal culture – legal consciousness, encompasses the systems of sets, expectancies, beliefs, attitudes and opinions related to the legal system. Another component of the legal culture – normative/legal behavior, is related to the synergy between the conscious and unconscious regulators of activity. In this case the analysis concerns the mutually complementary cooperation between unconscious mental formations and conscious motivational and voluntary processes. These problems clearly

lie within the scope of psychology and it is impossible to carry out a comprehensive analysis of legal culture as well as of the issues of normative regulation without focusing on this direction.

The list of tasks and directions of psycho-legal studies clearly demonstrates that for most authors the examination of the issues of normative regulation necessarily requires the consideration of the individual's cardinal psychological characteristics, specific psychological states, sets and expectancies as well as the specificity of the levels of mental regulation. The Georgian school of psychology which is based on D. Uznadze's Set Theory can make an important contribution to the development of psychology-law science in case necessary efforts are made. Achievement of the above listed and other objectives requires the intensification of research in this direction and the stimulation of the development of theoretical, methodological and practical aspects of psychology.

## Bibliography

- Blackburn, R. (1996). What is forensic psychology? *Legal and Criminological Psychology* Volume 1, Issue 1 p. 3-16.
- Carson, D. (Ed.). (1995). *Handbook of psychology in legal contexts* (2 ed.). Wiley.
- Carson, D. & Milne, R. & Pakes, F. & Shalev, K. & Shawyer, A. (2007). Psychology and Law: A Science to be Applied. In Carson D. (Ed.), *Applying Psychology to Criminal Justice* (1 ed., pp. 1-19). Wiley.
- Gulotta, G. & Curci, A. (2009). Juridical Psychology. (S. Carta, Ed.) *Encyclopedia of Life Support Systems*, 3, p. 412.
- Kapardis, A. (2014). *Psychology and Law A Critical Introduction* (4th ed.). Cambridge University Press.
- Ogloff, J. (2000). Two steps forward and one step backward: The law and psychology movement(s) in the 20th century. *Law and Human Behavior*, Vol 24(4), pp. 457-483.
- The American Psychology-Law Society. (n.d.). <http://www.apadivisions.org/division-41/about/index.aspx>. Retrieved 2024, from <https://ap-ls.org/about/>.

# სტიგმა-გაზღაიბინის სემანტიკა: ენა, მანიპულაცია და კულტურული სტერეოტიპები საქართველოში

ვალერია ფურცელაძე<sup>1</sup>

## აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია განიხილავს საქართველოში გავრცელებული კულტურული სტერეოტიპებით გამოწვეული გაზღაიბინის ლინგვისტური სემანტიკის საკითხს. ემპირიული მასალა მოიცავს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ, ფსიქოლოგიისა და განათლების, ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს. კვლევის თეორიულ საფუძველს ქმნის ლინგვისტური სემანტიკა, კერძოდ, მნიშვნელობის თეორია (Leech, 1981). კვლევის აქტუალურობა სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში გაუცნობიერებელი გაზღაიბინის ფართო გავრცელებით არის განპირობებული. მიუხედავად ზრდადი ინტერესისა მენტალური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მანიპულაციის ტაქტიკების მიმართ, ხშირად შეუმჩნეველი, გაუცნობიერებელი გაზღაიბინი გაცნობიერებულ, წინასწარ განზრახულ მანიპულაციაზე არანაკლებ საზიანოა.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ რესპონდენტთა უმეტესობას საკუთარ თავზე განუცდია გაზღაიბინის უარყოფითი გავლენა, განსაკუთრებით საქართველოს მოქალაქეთა უფროსი თაობების წარმომადგენელთა მხრიდან მიღებული კრიტიკის ან მათ მიერ შერცხვენის დროს. გაზღაიბინის აღნიშნული შემთხვევები, უმეტესად, გენდერსა და კულტურულ საკითხებს (პოლიტიკა, რელიგია) უკავშირდება და სტიგმატიზაციის პროცესს უწყობს ხელს. ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული ტიპის დისკურსში გარკვეული სემანტიკური ცვლილებების ტენდენცია შეინიშნება: მოსაუბრის (მანიპულატორის) მიერ გამოყენებული ლექსიკური ერთეულების სოციალური მნიშვნელობა აფექტურ კონოტაციებს იძენს, რაც მსმენელის (მსხვერპლის) თავდაჯერებულობაზე უარყოფითად აისახება და საკუთარი აღქმის სისწორეში ეჭვის შეტანისკენ უბიძგებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი ახალგაზრდები იცნობენ ფსიქოლოგიური მანიპულაციის აღნიშნულ ტაქტიკას, შეუძლიათ კომუნიკაციის პროცესში მისი იდენტიფიცირება და ნაკლებად ექცევიან გაზღაიბინის უარყოფითი გავლენის ქვეშ.

**საკვანძო სიტყვები:** გაზღაიბინი, ფსიქოლოგიური მანიპულაცია, ლინგვისტური სემანტიკა, კულტურული სტერეოტიპები, გენდერი

## 1. შესავალი

ადამიანის პიროვნება თანდაყოლილი გენეტიკური მახასიათებლებისა და სოციალური კონტექსტების ურთიერთდაკავშირებული გავლენით ყალიბდება. ამასთან ერთად, ენას, როგორც ადამიანთა კომუნიკაციის ძირითად საშუალებას, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პიროვნების აღქმის სისტემისა და ქცევითი ჩვევების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, საკვირველი არაა, რომ ენობრივ სისტემაში ასახული ამა თუ იმ საზოგადოების კოლექტიურ ცნობიერებაში არსებული კულტურული სტერეოტიპები

<sup>1</sup> ვალერია ფურცელაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ.

მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანების მიერ საკუთარი თავის აღქმისა და სხვებთან ურთიერთქმედების მოდელს.<sup>1</sup>

საქართველოში, ისევე როგორც სხვა საზოგადოებებში, პიროვნულ იდენტობაზე კულტურული სტერეოტიპების გავლენა ძალზედ აქტუალურია. ბოლო ათწლეულებში საქართველოს ისტორიულად პატრიარქალურმა საზოგადოებამ, ცნობიერების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა: საბჭოთა კავშირის მკაცრი საზოგადოებრივი ნორმები ევროპულმა ღირებულებებმა ჩაანაცვლა. პარადიგმის ამ თვალსაზრისით ცვლამ საქართველოს მაცხოვრებელთა სხვადასხვა თაობას შორის იდეოლოგიური უთანხმოება გამოიწვია, ხოლო თვალსაზრისთა სხვადასხვაობა ბუნებრივად აისახება პიროვნულ ურთიერთობებზე და ვერბალურ კომუნიკაციაშიც ვლინდება. თუმცა, ადამიანთა შორის კომუნიკაცია მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის ფარგლებს სცდება, რადგან ენის გამოყენების საშუალებით ჩვენ გარკვეულ ფუნქციებს<sup>2</sup> (Jakobson, 1960) და შესაბამის სამეცნიერო აქტებს<sup>3</sup> ვასრულებთ (Austin, 1962; Searle, 1969). ამ დროს ჩვენ არა მხოლოდ სათქმელს გამოვხატავთ, არამედ ხშირად ერთმანეთის მიერ რეალობის აღქმაზე უარყოფით გავლენას ვახდენთ. სწორედ ამ დროს ხდება გაზღაიონის ცნება ძალზედ აქტუალური.

როგორც ვიცით, გაზღაიონი არის ფსიქოლოგიური მანიპულაციის ისეთი სახეობა, რომელიც ადამიანს აიძულებს დაეჭვდეს საკუთარი გრძნობებისა და რეალობის აღქმის სისწორეში.<sup>4</sup> თუმცა, აღნიშნული მოვლენა ფსიქოლოგიის სფეროს სცდება და ფართოდ ვრცელდება როგორც სოციალურ, ასევე სოციოლინგვისტურ კონტექსტებზეც (Sweet, 2019; Catapang Podosky, 2021). გაზღაიონი, როგორც სოციალური მოვლენა, ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვების ინსტრუმენტად გვევლინება სხვადასხვა სოციალურ გარემოში, იქნება ეს პირადი ურთიერთობები, სამართლებრივი სისტემა, დასაქმების სფერო თუ პოლიტიკა (Ruiz, 2020; Spear, 2023 და სხვ.). სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, გაზღაიონის მოქმედების მექანიზმები ენობრივი რიგის (ინგ.: *linguistic order*) საკითხით არის განპირობებული (Catapang Podosky, 2021). თუმცა ხაზგასასმელია, რომ, აღნიშნული მოვლენისადმი მკვლევართა მზარდი ინტერესის მიუხედავად, გაზღაიონი, როგორც დისკურსის ცალკეული სახეობა, ნაკლებად არის შესწავლილი ლინგვისტური რეალიზაციის კუთხით. ჩემი დაკვირვებით, ლინგვისტური პრაგმატიკის თვალსაზრისით, გაზღაიონი, როგორც ენობრივი მოვლენა, უმეტესად გარკვეული ტიპის სამეცნიერო აქტების, კერძოდ, ასერტივების სპეციფიკური გამოყენების პრინციპს ემყარება (Purtseladze, 2024). წინამდებარე სტატიაში განვიხილავ

<sup>1</sup> ლინგვისტური ფარდობითობის პრინციპის (სეპირისა და უორფის თეორია) თანახმად, ენა აზროვნებაზე გავლენას ახდენს. Ottenheimer, H. (2009). *The Anthropology of Language: An Introduction to Linguistic Anthropology*. Belmont, CA: Wadsworth.

<sup>2</sup> ენობრივი ფუნქციები. Jakobson, R. (1960). Linguistics and Poetics. In T. Sebeok (Ed.), *Style in Language* (pp. 350-377). Cambridge, MA: M.I.T. Press.

<sup>3</sup> სამეცნიერო აქტების თეორია. Austin, J. L. (1962). *How to Do Things with Words*. Oxford: Oxford University Press; Searle, J. (1979). *Expression and Meaning*. Cambridge: Cambridge University Press.

<sup>4</sup> "APA Dictionary of Psychology". APA.org. American Psychological Association. Retrieved May 20, 2024.

ქართული რეალობისათვის დამახასიათებელი კულტურული სტერეოტიპებით განპირობებულ გაზღაოთინგს ლინგვისტური სემანტიკის თვალსაზრისით.

წინამდებარე კვლევის აქტუალურობა განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში ფართოდ არის გავრცელებული ფსიქოლოგიური მანიპულაციის ისეთი ფორმა, როგორცაა *გაუცნობიერებელი გაზღაოთინგი*.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყაროში მატულობს ინტერესი მენტალური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მანიპულაციის ტექტიკების მიმართ, გაუცნობიერებელი გაზღაოთინგი ხშირად შეუმჩნეველია მსმენელისთვის (მსხვერპლისთვის), მაგრამ ადამიანის ფსიქიკისთვის ისეთივე დამანგრეველია, როგორც გაცნობიერებული, წინასწარ განზრახული ფსიქოლოგიური მანიპულაცია.

ემპირიული მასალა მოიცავს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, ფსიქოლოგიისა და განათლების, ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს. კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა უმეტესობას კულტურული სტერეოტიპებით განპირობებული გაზღაოთინგის გავლენა არაერთხელ განუცდია, განსაკუთრებით, როდესაც ისინი საქართველოს მოქალაქეთა უფროსი თაობის წარმომადგენელთა მხრიდან კრიტიკის ან შერცხვენის ობიექტებად ქცეულან. აღნიშნულ შემთხვევებში, გაზღაოთინგის ლინგვისტური სემანტიკა, ძირითადად, გენდერის საკითხებთან ან სოციოკულტურულ ასპექტებთან (პოლიტიკა, რელიგია) ასოცირებულ ცნებებს შეიცავს. აღნიშნულ ჭრილში გაზღაოთინგი *სტიგმატიზაცია*<sup>2</sup> მოიცავს, რადგან მანიპულაციის ობიექტის გრძნობებისა და მოსაზრებების გაუფასურების გზით, საზოგადოებისგან მისი განსხვავებულობის ხაზგასმით, კულტურული სტერეოტიპების უარყოფით გავლენას ამძაფრებს.

## 2. მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი ორ ეტაპს მოიცავდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზემოხსენებული ფაკულტეტების სტუდენტებს შევთავაზე, მონაწილეობა მიეღოთ ანონიმურ გამოკითხვაში, რომელიც გაზღაოთინგის შემთხვევებთან დაკავშირებით მათი გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ისახავდა მიზნად, კერძოდ, რესპონდენტებს კულტურული სტერეოტიპებით გამონეული გაზღაოთინგის კონტექსტში ხშირად მოსმენილი ფრაზების ჩამოთვლა ევალებოდათ.

ოცმა სტუდენტმა კვლევაში მონაწილეობის მიღების მზაობა გამოთქვა. კვლევის მონაწილეთა საშუალო ასაკი 19 წელს შეადგენდა და ყოველი მათგანი ეროვნებით ქართველი იყო. მონაწილეთა შედარებით მცირე რიცხვი განპირობებული იყო კვლევის სპეციფიკით: წინამდებარე სტატიის მიზანი არა ფართო სოციალური გამოკითხვის შედეგების წარდგენაა, არამედ კულტურული სტერეოტიპებით განპირობებული გაზღაოთინგის დროს გამოყენებული ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ანალი-

<sup>1</sup> Wilson, V. (2024) Unconscious Gaslighting: What Is It and How to Manage It. Exceptional Futures, <https://www.exceptionalfutures.com/unconscious-gaslighting>. Retrieved March 3, 2024.

<sup>2</sup> სირცხვილის ნიშნით დადაღვა. თანამედროვე სამყაროში აღნიშნავს სოციალური იარლიყების მიწებებას. გაბუნია, შ. (2013). *შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში*. თბილისი: იდენტობა.

სტიგმა-გაზღაიონის სემანტიკა: ენა, მანიპულაცია და კულტურული სტერეოტიპები...

ზი. კერძოდ, ყურადღება ეთმობა აღნიშნული ტიპის დისკურსში ხშირად გამოყენებული სიტყვების (ცნებების) მნიშვნელობის აქტუალიზაციის პროცესებზე დაკვირვებას. ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა ჯ. ლიჩის მნიშვნელობის თეორია, კერძოდ, მნიშვნელობის მის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია (Leech, 1981).

ემპირიული მასალის შესწავლის დროს გამოყენებული იყო ტრადიციული შემეცნებითი მეთოდები, კერძოდ, ანალიზი და სინთეზი. დაკვირვებამ ცხადყო, რომ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები გაზღაიონის ობიექტებად იქცევიან შემდეგი ძირითადი პრობლემების გამო: ესენია გენდერთან დაკავშირებული საკითხები, იდეოლოგიური და პოლიტიკური მოსაზრებები, კარიერული პერსპექტივები და ემიგრაცია, სასიყვარულო არჩევანი და კულტურათაშორისი ქორწინება, გარეგნობა და ჩაცმის სტილი. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ, ასევე, ცხადყო, რომ გაზღაიონის ენობრივ კონტექსტში გარკვეული სემანტიკური ტენდენცია შეინიშნება: აღნიშნული ტიპის დისკურსში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები (ცნებები) მათი საყოველთაოდ ცნობილი სოციალური დატვირთვის გარდა, ახალ, აფექტურ კონოტაციებს იძენს. აღნიშნულ მოვლენას უფრო ვრცლად შემდგომ თავებში განვიხილავ.

### 3. სიტყვის მნიშვნელობა და გაზღაიონი

სემანტიკა, მისი ფართო დეფინიციით, ენის მეშვეობით მნიშვნელობის გამოხატვის პროცესს შეისწავლის. მნიშვნელობა, ამ თვალსაზრისით, სიტყვის არა მხოლოდ სალექსიკონო განმარტებას მოიცავს, არამედ ასოციაციის ყველა ელფერსა და ნიუანსს. სემანტიკის მიზანია, შეიმეცნოს მნიშვნელობის გამოხატვისა და კონტექსტში აქტუალიზაციის გზები როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ კომუნიკაციაში.<sup>1</sup> ჯ. ლიჩმა, გამოჩენილმა ენათმეცნიერმა, რომელიც მნიშვნელობის რთულ და მრავალფეროვან სამყაროს შეისწავლიდა, დიდი გავლენა იქონია ლინგვისტური სემანტიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, განვითარებაზე. ლიჩი ამტკიცებდა, რომ სიტყვის მნიშვნელობის შესწავლა დაუშვებელია სხვადასხვა სოციოლინგვისტური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, რადგან სხვადასხვა კონტექსტში სიტყვამ შესაძლოა განსხვავებული კონოტაციები შეიძინოს.<sup>2</sup> ლიჩის თეორიის თანახმად, ლექსიკურ ერთეულს, მისი სიტყვასიტყვითი, დენოტაციური მნიშვნელობის გარდა, შეიძლება რიგი დამატებითი, კონტექსტიდან გამომდინარე, მნიშვნელობები ჰქონდეს (Leech, 1981).

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მნიშვნელობის ორი სახეობით და, შესაბამისად, მათი აღმნიშვნელი ტერმინებით ვიხელმძღვანელებ, ესენია: სოციალური მნიშვნელობა (ინგ.: *social meaning*) და აფექტური მნიშვნელობა (ინგ.: *affective meaning*). სოციალური მნიშვნელობა მოიცავს საზოგადოების მიერ სიტყვისთვის მინიჭებულ დატვირთვებს. სწორედ ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული კონოტაციები განაპირობებს ცალკეული კულტურის ან საზოგადოებრივი ჯგუფის წევრების მიერ სიტყვის

<sup>1</sup> Britannica, T. Editors of Encyclopaedia (2024, May 14). semantics. Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/science/semantics>

<sup>2</sup> Ramtirthe, P., Ovhal, M. (2024). Geoffrey Leech's Seven Types of Meaning. *Journal of Research Administration*, 5(2), 11465-11469. Retrieved from <https://journalra.org/index.php/jra/article/view/1242>

ინტერპრეტირების გზებს, რადგან მოიცავს ისეთ მეტალინგვისტურ ასპექტებს, როგორებიცაა: სოციოკულტურული ნორმები და ფასეულობები, ისტორიული გამოცდილება, ძალაუფლების მიმდინარე დინამიკა და ა.შ. აფექტური მნიშვნელობა კი, სოციალურისგან განსხვავებით, მოიცავს ლექსიკური ერთეულის გამოყენებით გამონვეულ გრძნობებს, იმ სუბიექტურ ინტერპრეტაციებს, რომლებსაც ცალკეული სიტყვა ფსიქოემოციური რეაქციის დონეზე ბადებს ჩვენში (Leech, 1981).

მნიშვნელობის გამოხატვისა და აღქმის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია გაზღაობის კონტექსტში. ვინაიდან გაზღაობის, უპირველეს ყოვლისა, ვერბალურ მანიპულაციას წარმოადგენს (Purtseladze, 2024), ის მნიშვნელოვანწილად დაფუძნებულია ენობრივი კონსტრუქციების სპეციფიკურ გამოყენებაზე, რაც, ასევე, მოიაზრებს სიტყვათა მნიშვნელობებით მანიპულირებას, მათ დამახინჯებას მსხვერპლზე ფსიქოლოგიური გავლენისა და კონტროლის მოპოვების მიზნით. ამრიგად, მნიშვნელობების დამახინჯების აღნიშნული მცდელობების იდენტიფიცირება ძალიან მნიშვნელოვანია ვერბალური მანიპულაციის ქმედითი შეზღუდვებისთვის.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ სტიგმა-გაზღაობის კონტექსტში სოციალური მნიშვნელობის აფექტურ მნიშვნელობად სემანტიკურ გარდაქმნას ვაწყდებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსაუბრე (მანიპულატორი) ლექსიკური ერთეულების სოციალურ კონოტაციებს ბოროტად იყენებს მსმენელში გარკვეული ემოციური რეაქციის გამონვევის მიზნით, მაგალითად, როდესაც მანიპულატორი საზოგადოებაში მიღებულ მოსაზრებებს, დამკვიდრებულ ტრადიციებსა და კულტურულ ნორმებს ეყრდნობა, რათა მსხვერპლში გამოიწვიოს ისეთი უარყოფითი ემოციები, როგორებიცაა სირცხვილი, დანაშაულის გრძნობა ან შიში. სემანტიკური ცვლილება ამ შემთხვევაში გაზღაობისთვის დამახასიათებელი დამანგრეველი ეფექტის მიღწევას ემსახურება და მსხვერპლზე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას აძლიერებს, რადგან აფექტური მნიშვნელობა ემოციური ენის<sup>1</sup> სფეროს მიეკუთვნება და, შესაბამისად, ადამიანის ემოციების მართვის ინსტრუმენტად იქცევა, რადგან შეუძლია, მსმენელის გადანყვეტილებებზე გავლენა იქონიოს. ამრიგად, სტიგმა-გაზღაობის კონტექსტში ლექსიკური ერთეულების აფექტური კონოტაციები ფსიქოლოგიური მანიპულაციის საშუალებას წარმოადგენს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი მოვლენა ხშირად განუზრახველ, გაუცნობიერებელ ხასიათს ატარებს. აღნიშნული განსაკუთრებით ხშირია სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციის დროს. სტიგმა-გაზღაობის ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი სემანტიკის საკითხს შემდგომ თავში განვიხილავ.

## 4. სტიგმა-გაზღაობის სემანტიკა საქართველოში

### 4.1. გამოკითხვის შედეგები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის პროცედურა ორ ეტაპს მოიცავდა: რესპონდენტებს რიგი კითხვებისთვის უნდა ეპასუხათ, ხოლო დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, დამატებით მოეთხოვებოდათ გამოცდილებისა

<sup>1</sup> Macagno, F., Walton, D. (2014). When Words Are Emotive. In *Emotive Language in Argumentation* (pp. 5–29). Cambridge: Cambridge University Press.

სტიგმა-გაზღაიონის სემანტიკა: ენა, მანიპულაცია და კულტურული სტერეოტიპები...

და შთაბეჭდილებების გაზიარება იმ კონკრეტული ფრაზების მითითებით, რომლებიც კულტურული სტერეოტიპების შედეგად მათკენ მიმართული გაზღაიონის კონტექსტში მოისმინეს. კვლევის შედეგები შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლებით ქვემოთ არის მოცემული. ენობრივი მონაცემების ანალიზი კი შემდგომ ქვეთავში იქნება წარმოდგენილი.

**ტაბულა 1. სტიგმა-გაზღაიონი და კულტურული სტერეოტიპები საქართველოში**

შეკითხვა	დიახ	არა	არ ვიცი
უთქვამთ, რომ თქვენი გრძნობები/ემოციები არასწორი, ან შეუსაბამოა, რადგან თქვენს კულტურაში მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება?	55%	45%	-
უთქვამთ, რომ თქვენი მოსაზრებები და იდეები მცდარი ან არარეალურია, რადგან თქვენს კულტურაში მიღებულ ნორმებსა და მათთან ასოცირებულ მოლოდინებს ეწინააღმდეგება?	75%	25%	-
უთქვამთ, რომ მეტისმეტად ემოციურად რეაგირებთ, როდესაც საკითხი კულტურულ სტერეოტიპებს ეხება?	60%	40%	-
ეჭვი თუ შეგპარვიათ საკუთარი მოსაზრებების სისწორეში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თქვენს კულტურაში მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება?	45%	55%	-
თავი შეურაცხყოფილად ან ნაკლულად თუ გიგრძნობიათ, რადგან თქვენი გრძნობები და მოსაზრებები არასწორად ან შეუსაბამოდ მიიჩნიეს, რადგან ისინი თქვენს კულტურაში მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგებოდნენ?	45%	55%	-
წინა შეკითხვებიდან გამომდინარე, თვლით თუ არა, რომ კულტურული სტერეოტიპებით განპირობებული გაზღაიონის გავლენა განვიცდიათ?	60%	40%	-
თვლით თუ არა, რომ გაზღაიონის ეს შემთხვევები წინასწარგანზრახული, გაცნობიერებული იყო?	30%	40%	30%

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა უმეტესობა თვლის, რომ კულტურული სტერეოტიპებით განპირობებული ფსიქოლოგიური მანიპულაციის უარყოფითი გავლენა განუცდიათ, თუმცა ამავდროულად, სტიგმა-გაზღაიონის წინაშე გარკვეულ სიმტკიცეს ინარჩუნებენ. აღნიშნულის შესახებ მეტყველებს ვერბალური მანიპულაციით გამოწვეული, მათთვის საზიანო გავლენის ამოცნობის უნარი, რაზეც კვლევის შედეგების პროცენტული მაჩვენებელი მიუთითებს. ამასთან ერთად, ის ფაქტი, რომ კვლევის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარებს, რომ კულტურულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული გაზღაიონის გავლენა განუცდიათ, ამტკიცებს იმას, რომ ქართველი ახალგაზრდებისთვის აღნიშნული მანიპულაციური ტაქტიკა ცნობილია, რაც მათი



ცოდნისა და გაცნობიერების დონეზე მეტყველებს. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა თვლის, რომ აღნიშნული ფსიქოლოგიური მანიპულაციის მათ მიერ გამოცდილი შემთხვევები არ იყო წინასწარგანზრახული, ხოლო ნაწილი აღნიშნულთან დაკავშირებით ეჭვს გამოთქვამს, რაც ცალსახად მეტყველებს რესპონდენტთა ობიექტურობასა და კრიტიკული აზროვნების მაღალ დონეზე.

